





ევროკავშირი
საქართველოსთვის

EU4Justice: მართლმსაჯულების რეფორმის
მხარდაჭერა




საპარტნიორო სამართლებრივი სააგენტო



Empowered lives.
Resilient nations.

არბიტრაჟის განმარტებიითი ლექსიკონი



Prepared and published with the financial assistance of the European Union (EU) and the United Nations Development Programme (UNDP).

The views expressed herein can in no way be taken to reflect the official opinion of the European Union and UNDP.

Printing of the hard copy was made possible by the German Government funded common Chambers and Association Development Project (KVP 656) between Georgian Chamber of Commerce and Industry (GCCI) and Chamber of Commerce and Industry for Munich and Upper Bavaria

© UNDP Georgia [2016]

All rights reserved. Published in Georgia

მომზადებულია და გამოცემულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) თვალსაზრისს.

გამოცემის ბეჭდური ვერსია დაიბეჭდა გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის პალატების და ასოციაციების განვითარების პროექტის (KVP 656) მხარდაჭერით

© UNDP Georgia [2016]

საავტორო უფლებები დაცულია. გამოცემულია საქართველოში.



გვითად კორდაქის
გამომცემლობა

სამეცნიერო რედაქტორი
ლადო ჭანტურია

Editor-in-Chief
Lado Chanturia

ავტორები
ბექა ინჯია
ნათია ლაპიაშვილი

Authors
Beka Injia
Natia Lapiashvili

სარედაქციო კოლეგია
ნინო ბაქაქური
ნინო ბოგვერაძე
მარიამ გოცირიძე
გიორგი ვეკუა
სოფიო ტყემალაძე
ლიანა ქარცივაძე
რუსუდან ტუშური


Editorial Board
Nino Bakakuri
Nino Bogveradze
Mariam Gotsiridze
Giorgi Vekua
Sophio Tkemaladze
Liana Kartsivadze
Rusudan Tushuri


კორექტორი
მანანა ტაბიძე


Proof-Reader
Manana Tabidze

დიზაინი
Fourk Group

Design
Fourk Group







წინასიტყვაობა


7

განმარტებითი ლექსიკონი

11

ქართული ტერმინების
ანბანური საძიებო

66



წინასიტყვაობა

არბიტრაჟი ქართულ რეალობაში შედარებით ახალ დარგს წარმოადგენს და მისი შემდგომი განვითარება საწყის ეტაპზეა, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (GIAC) ინიციატივით, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო არბიტრაჟის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონის შემუშავებაზე აქტიური მუშაობა.

განმარტებითი ლექსიკონის შექმნის მთავარი მოტივაცია გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ საქართველოს იურიდიულ, და არამართ იურიდიულ სივრცეში, არც თუ ისე ფართოდ არის ცნობილი საარბიტრაჟო პრაქტიკის სხვადასხვა მიმართულებები. ხშირია შემთხვევები, როდესაც არ არსებობს საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული ცნებებისა და ტერმინების ქართული შესატყვისი, რაც იწვევს არაერთგვაროვანი ტერმინების გამოყენებას. უმეტესწილად კი ეს გარემოება იწვევს ქართულ ენაში უცხოური სიტყვების დამკვიდრების ხელშეწყობას. ამის გათვალისწინებით, ტერმინების განმარტებითი ლექსიკონის შექმნის უპირველეს მიზანს საერთაშორისო და სხვადასხვა ადგილობრივ არბიტრაჟში გავრცელებული ტერმინოლოგიის ქართულ ენაში გადმოტანა და დამკვიდრება წარმოადგენს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოხდეს ტერმინთა განმარტება, რაც დამატებით შეუწყობს ხელს აღნიშული დარგის ცნობადობის ამაღლებას.

ჩვენი მოლოდინია, რომ ლექსიკონი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საგანმანათლებლო კუთხითაც, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ქართულ ენაზე ძალიან მწირია ლიტერატურა არბიტრაჟისა და ზოგადად დავის გადანაცვების ალტერნატიულ მექანიზმების შესახებ.

ლექსიკონის შემუშავებისთვის ავტორთა მიერ მოძიებულ იქნა არბიტრაჟში და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო და სხვადასხვა ადგილობრივი ტერმინები და ცნებები, რის შემდეგაც განხორციელდა შესაბამისი განმარტების მომზადება. ლექსიკონის საბოლოო ვერსიის შექმნისთვის ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც აქტიურად იმუშავა უცხოური ტერმინებისა და მათი განმარტებების ქართული შესატყვისების დადგენაზე.


ამ სამუშაო პროცესში ჯგუფმა გამოიყენა საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახელმძღვანელოები და კვლევითი ნაშრომები.

არბიტრაჟის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ იურიდიულ სფეროსთან დაკავშირებული პირები, კერძოდ: სტუდენტები, საგანმანათლებლო-სამეცნიერო დარგში მომუშავე პირები, პრაქტიკოსი იურისტები, საჯარო მოხელეები და მოსამართლეები. თუმცა, ლექსიკონით განმარტებული ტერმინები ადვილად გასაგებია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვისაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონში მოცემული სიტყვები და ცნებები ამომწურავად არ მოიცავს საარბიტრაჟო პრაქტიკაში გამოყენებულ ტერმინებს. ასევე ხაზგასასმელია, რომ არბიტრაჟში ბევრი ტერმინი გადმოტანილია ზოგადი იურიდიული ტერმინებიდან, რომლებსაც რიგ შემთხვევებში განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნია. აქედან გამომდინარე, ლექსიკონი არბიტრაჟის დარგის განვითარებასთან ერთად შეიცვება და მოხდება მისი პერიოდული გადამუშავება.

ლექსიკონის წინამდებარე ვერსია ასევე ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულადაც.

ავტორები განსაკუთრებულ მადლობას უხდიან ევროკავშირისა (EU) და გაეროს (UN) ერთობლივ პროექტს „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ამ წამოწყების სრული მხარდაჭერისთვის.





1. Abeyance

საარბიტრაჟო წარმოების შეჩერება

დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც საარბიტრაჟო წარმოება შეჩერებულია; ასეთ შეჩერებას ადგილი აქვს მხოლოდ მხარეთა ერთობლივი მოთხოვნის შემთხვევაში; როგორც წესი, ამ დროს საარბიტრაჟო წარმოება შეჩერებულია ხანგრძლივი ან განუსაზღვრელი ვადით.

იხ. განსხვავებისთვის: საქმის წარმოების შეჩერება 171.

2. Alternative Dispute Resolution (ADR)

დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

დავის გადაწყვეტის მექანიზმი, რომლის გამოყენებისას დავის გადაწყვეტა არ ხდება ეროვნული სასამართლოს მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, დავა განიხილება და წყდება მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ისეთი საშუალების გამოყენებით, როგორიც არის არბიტრაჟი, მედიაცია, კონსილიაცია ან დავის განხილვის სხვა არა სასამართლო მექანიზმით.

იხ. არბიტრაჟი 20; იხ. მედიაცია 117; იხ. კონსილიაცია 43.

3. Ad hoc Arbitration

Ad hoc არბიტრაჟი [ლათ.: „ამისთვის“]

არბიტრაჟი, რომლის ადმინისტრირებაც არ ხდება საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ. *ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეებს თავად უწევთ არბიტრაჟის ყველა ასპექტის, მათ შორის: არბიტრთა რაოდენობის, მათი არჩევის/დანიშვნის წესის, გამოსაყენებელი საარბიტრაჟო წესების, არბიტრაჟის ადგილის განსაზღვრა. *Ad hoc* არბიტრაჟის არჩევის შემთხვევაში მხარეები, როგორც წესი, თანხმდებიან გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ შემუშავებულ საარბიტრაჟო წესებზე.

იხ. საარბიტრაჟო დაწესებულება 18; იხ. საარბიტრაჟო წესები 24;

იხ. არბიტრაჟის ადგილი 114, 136, 163; იხ. UNCITRAL 180;

იხ. UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები 181.

4. Admissibility

დასაშვებობა

დასაშვებობის საკითხი განსაზღვრავს, შეუძლია თუ არა **საარბიტრაჟო ტრიბუნალს კონკრეტული** დავის გადაწყვეტის უფლებამოსილების განხორციელება. ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალს შესაძლოა ჰქონდეს უფლებამოსილება და **იურისდიქცია** დავაზე, მაგრამ მის განხორციელებას რაიმე სხვა გარემოება უშლიდეს ხელს; მაგალითად, დასაშვებობის წინაპირობებად განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა: ეროვნული კუთვნილება და შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონერვა, მოლაპარაკებებისთვის დადგენილი ვადის გაუსვლელობა და სხვ.

იხ. იურისდიქცია 106.

5. Advance on costs

ხარჯების ავანსი

თანხა, რომელიც წარმოადგენს საარბიტრაჟო ხარჯების ნაწილს და რომლის გადახდაც მხარეებს წინასწარ მოეთხოვებათ საარბიტრაჟო პროცესის წარმართვის მიზნით. როგორც წესი, **ხარჯების ავანსი** მოიცავს არბიტრების ჰონორარს და მათ ხარჯებს, ასევე დავის ადმინისტრირების ხარჯებს.

6. Adverse Witness

მოწინააღმდეგე მხარის მოწმე

პირი, რომელიც იძლევა არბიტრაჟის მონაწილე კონკრეტული მხარის საწინააღმდეგო ჩვენებას. გეპირ განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარის მოწმედ მოწვევა ხდება, ამ მხარის ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოთხოვნით. არბიტრები მოწინააღმდეგე მხარის მოწმის **ჯვარედინი დაკითხვის** ნებართვას მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე გასცემენ. არბიტრებს შეუძლიათ თავისი ინიციატივით მოითხოვონ რომელიმე მხარის მოწმის გეპირ მოსმენაზე დაკითხვაც, რის შემთხვევაშიც მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ამ მოწმის **ჯვარედინი** დაკითხვა.

მტკიცებულებათა წარმოდგენისა და გამოკვლევის საკითხებთან დაკავშირებით ხშირად იყენებენ

საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულების მოპოვების შესახებ საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო წესებს.

იხ. ჯვარედინი დაკითხვა 52; იხ. „საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის წესები საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულების მოპოვების შესახებ“ 93.

7. Amicable composition (Amiable compositeur)

მშვიდობიანი შუამავალი

მხარეების მიერ საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის უფლებამოსილების მინიჭება, იმოქმედოს როგორც **მშვიდობიანმა შუამავალმა**, გულისხმობს მის უფლებას, დავა არსებითად გადაწყვიტოს სამართლიანობაზე დაყრდნობით. აღნიშნული გულისხმობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებას, უარი თქვას კანონის დებულებების მკაცრ და ზედმინევნით გამოყენებაზე და, ასევე, შეცვალოს სახელმძღვანელო პირობები, თუკი ამ უკანასკნელთა გამოყენება უსამართლო შედეგს იწვევს. გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ამ მიდგომით საქმის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მხარეთა აშკარა თანხმობა; ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, არბიტრებმა საქმე უნდა გადაწყვიტონ დავის მიმართ **გამოსაყენებელი სამართლით**. როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი მოქმედებს, როგორც **მშვიდობიანი შუამავალი**, მისი უფლებამოსილება იზღუდება მხოლოდ **საჯარო წესრიგით**. ეს პრინციპი, ვრცელდება მხოლოდ დავის არსებითი ნაწილის გადაწყვეტაზე და არ შეეხება არბიტრაჟის პროცედურულ საკითხებს.

იხ. განსხვავებისთვის: Ex aequo et bono 68;

იხ. საჯარო წესრიგი 147.

8. Amount in dispute

დავის ღირებულება

ქონების ან/და ქონებრივი უფლების ღირებულება, რომელიც სადავოა მხარეებს შორის. უმრავლეს შემთხვევაში, **საარბიტრაჟო დანესებულების** მომსახურების გადასახადისა და არბიტრთა ჰონორარის გამოანგარიშება ხდება დავის ღირებულების

მიხედვით.

იხ. საარბიტრაჟო დანესებულება 18.

9. Anational arbitration/ Floating arbitration

ანაციონალური არბიტრაჟი

თეორია, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამართლებრივ სისტემას, რომელიც თავისუფალია იმ ქვეყნის ეროვნული სამართლის კონტროლისგან, სადაც ადგილი აქვს საარბიტრაჟო განხილვას.

10. Anational award/ floating award

ანაციონალური საარბიტრაჟო გადანწყვეტილება

თეორია, რომლის თანახმად საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ არის დაკავშირებული, რომელიმე ქვეყნის იურისდიქციასთან (ანუ არის „ანაციონალური“), არამედ არის დელოკალიზებული საერთაშორისო არბიტრაჟის შედეგი. შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილება განეკუთვნება საერთაშორისო მართლწესრიგის საგანს და მისი ნამდვილობა არ არის დამოკიდებული რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე.

11. Annulment

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება 166, 183.

12. Answer to the request for arbitration

პასუხი საარბიტრაჟო განაცხადზე

საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მის პოზიციას საარბიტრაჟო პროცესის დაწყებაზე. პასუხი საარბიტრაჟო განაცხადზე შეიძლება მოიცავდეს საარბიტრაჟო მოპასუხის პოზიციას არბიტრაჟის იურისდიქციაზე, არბიტრის (არბიტრების) კანდიდატურაზე, გამოსაყენებელ სამართალზე, საარბიტრაჟო განხილვის ენასა და საარბიტრაჟო პროცესის წარმოების სხვა საკითხებზე.

იხ. საარბიტრაჟო განაცხადი 158; იხ. იურისდიქცია 106;

იხ. გამოსაყენებელი სამართალი 87;

იხ. საარბიტრაჟო განხილვის ენა 109.

13. Anti-arbitration injunction

ბრძანება არბიტრაჟის წინააღმდეგ

ეროვნული სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანება, რომელიც მხარეს ავალდებულებს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს საარბიტრაჟო წარმოება.

14. Anti-suit injunction

ბრძანება სასამართლო განხილვის წინააღმდეგ

საარბიტრაჟო ტრიბუნალის ან ეროვნული სასამართლოების მიერ გაცემული ბრძანება, რომელიც მხარეს ავალდებულებს, არ წამოიწყოს, ან შეწყვიტოს სამართალწარმოება სხვა სასამართლოში.

15. Appointing authority

დამნიშვნელი ორგანო

მხარეთა შეთანხმებით ან კანონით განსაზღვრული პირი ან დაწესებულება, რომელმაც უნდა დანიშნოს არბიტრ(ებ)ი.

უმეტესწილად, **დამნიშვნელი ორგანო** გამოიყენება, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები დავის წარმოშობის შემდეგ ვერ ასრულებენ არბიტრ(ებ)ის დანიშვნის ვალდებულებას ან ვერ თანხმდებიან იმ არბიტრ(ებ)ზე, რომელთა დანიშვნაც მათი ერთობლივი შეთანხმებით უნდა მოხდეს. რიგ შემთხვევებში, **საარბიტრაჟო დაწესებულების** წესები დამნიშნავ ორგანოს ასევე უფლებას აძლევს, გადაწყვიტოს არბიტრების აცილების საკითხი, დანიშნოს შემცვლელი არბიტრები ან შეასრულოს სხვა ფუნქციები.

იხ. საარბიტრაჟო დაწესებულება 18.

16. Appointment of arbitrator

არბიტრის დანიშვნა

პროცედურა, რომლითაც არბიტრობის შერჩეული კანდიდატი ხდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრი.

იხ. განსხვავებისთვის: არბიტრის კანდიდატურის დასახელება 124; არბიტრის დადასტურება 45.

17. Arbitrability

არბიტრაჟუნარიანობა

არბიტრაჟუნარიანობა განსაზღვრავს კონკრეტული დავის არბიტრაჟის მეშვეობით განხილვადობას.

არბიტრაჟუნარიან დავათა კატეგორია განისაზღვრება კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით. კერძოდ, გარკვეული დავები, ქვეყნის საჯარო წესრიგის მიზნებიდან გამომდინარე, ექვემდებარება მხოლოდ ეროვნული სასამართლოს განსჯადობას. მაგალითად, ქვეყანათა უმეტესობაში საგადასახადო დავები არ არის არბიტრაჟუნარიანი.

18. Arbitral institution

საარბიტრაჟო დაწესებულება

სპეციალიზებული ორგანიზაცია/დაწესებულება, რომელიც ადმინისტრირებას უწევს საარბიტრაჟო პროცესს. საარბიტრაჟო დაწესებულების დავის განხილვაში ჩართულობის ფარგლები დამოკიდებულია იმ საარბიტრაჟო წესებზე, რომლის მიხედვითაც წარიმართება საარბიტრაჟო პროცესი.

იხ. საარბიტრაჟო წესები 24.

19. Arbitral tribunal

საარბიტრაჟო ტრიბუნალი

არბიტრთა შემადგენლობა, რომელიც განიხილავს და წყვეტს საარბიტრაჟო დავას. როგორც წესი, საარბიტრაჟო ტრიბუნალი შედგება ერთი ან სამი არბიტრისაგან.

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ არ იცნობს ტერმინს „საარბიტრაჟო ტრიბუნალი“. ამ მიზნით კანონი იყენებს სიტყვას „არბიტრაჟი“, რომლის ზუსტი მნიშვნელობა უნდა განიმარტოს კონტექსტის მიხედვით.

იხ. ერთი არბიტრი 168.

20. Arbitration

არბიტრაჟი

დავის გადაწყვეტის მექანიზმი, რომლითაც მხარეები უარს ამბობენ ეროვნული სასამართლოს იურისდიქციაზე და სანაცვლოდ თანხმდებიან, საბოლოო გადაწყვეტის მიზნით დავა გადასცენ, საარბიტრაჟო ტრიბუნალს. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა მხარეებისთვის. არსებობს *ad hoc* და *ინსტიტუციური არბიტრაჟი*.

იხ. ad hoc არბიტრაჟი 3. იხ. ინსტიტუციური არბიტრაჟი 98.

21. Arbitration agreement

საარბიტრაჟო შეთანხმება

მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის არსებული

ან სამომავლო დავა საბოლოო გადაწყვეტისათვის გადასცენ **არბიტრაჟს**.

საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება არსებობდეს **საარბიტრაჟო დათქმის** ან ცალკე შეთანხმების სახით.

იხ. არბიტრაჟი 20; იხ. დავის გადაცემის შეთანხმება 172; იხ. საარბიტრაჟო დათქმა 22.

22. Arbitration clause (Clause Compromissoire)

საარბიტრაჟო დათქმა

საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი სახე, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესაძლო სამომავლო დავა გადაწყდეს **არბიტრაჟის** მეშვეობით. **საარბიტრაჟო დათქმა** წარმოადგენს მხარეთა ძირითადი ხელშეკრულების ნაწილს.

იხ. საარბიტრაჟო შეთანხმება 21.

23. Arbitration law

საარბიტრაჟო სამართალი

კონკრეტულ ქვეყანაში მოქმედი არბიტრაჟის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. აღნიშნული ნორმები, როგორც წესი, შეეხება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობასა და შედეგებს, არბიტრის ფუნქციებს, საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებას, საარბიტრაჟო პროცესს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმებას, ცნობასა და აღსრულებას და ა.შ.

იხ. არბიტრაჟის სამართალი 110.

24. Arbitration rules

საარბიტრაჟო წესები

მხარეთა მიერ არჩეული პროცედურული წესები, რომლებიც განსაზღვრავენ საარბიტრაჟო წარმოების პროცედურულ ნორმებს, ხელს უწყობენ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებას, განსაზღვრავენ არბიტრების უფლებამოსილებას და საარბიტრაჟო წარმოების სხვა საკითხებს.

25. Arbitrator

არბიტრი

პირი, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს და წყვეტს ამ მხარეებს შორის წარმოშობილ დავას.

26. Award

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ წყვეტს ერთ ან რამდენიმე

სადავო საკითხს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სახეობა: **შუალედური გადაწყვეტილება, ნაწილობრივი გადაწყვეტილება, ასევე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მორიგებით.**

იხ. შუალედური გადაწყვეტილება 99;

იხ. ნაწილობრივი გადაწყვეტილება 131;

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მორიგებით 27.

27. Award by consent/ Consent award

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მორიგებით

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ასახავს დავის მორიგებით დასრულების შემთხვევაში მხარეთა მიერ მიღწეულ შეთანხმებას (მორიგებას). **საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მორიგებით** შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მოთხოვნით და, როგორც წესი, საარბიტრაჟო ტრიბუნალის თანხმობით. ასეთ გადაწყვეტილებას აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალა.

28. Award in absentia/ default Award

დაუსრულებელი გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება ისეთ საარბიტრაჟო საქმეზე, რომლის წარმოების პროცესშიც ერთ-ერთი მხარე არ მონაწილეობდა.

29. Bifurcation

ბიფურკაცია

საარბიტრაჟო პროცესის დაყოფა ორ ეტაპად, რომელთაგანაც თითოეული ეხება სხვადასხვა საკითხს. მაგალითად, ერთ შემთხვევაში, საარბიტრაჟო წარმოება შეიძლება დაიყოს იურისდიქციის დადგენისა და დავის არსებით ნაწილებად, სხვა შემთხვევაში, პასუხისმგებლობის დადგენისა და ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილებად. ბიფურკაცია ძირითადად გამოიყენება კომპლექსური დავების დროს პროცედურული ეკონომიის მიზნით.

რიგ შემთხვევებში, საარბიტრაჟო წარმოება შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც „ტრიფურკაციას“.

30. Bilateral Investment Treaty (BIT)

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება

ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეების (ფიზიკური და იურიდიული პირები) მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციების დაცვისა და ნახალისების შესახებ.

ეს ხელშეკრულება ხელშემკვრელი სახელმწიფოს ინვესტორს ასევე აძლევს უფლებას, ინვესტიციის მიმღებ ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან დავა გადაწყვიტოს არბიტრაჟის წესით. კერძოდ, ინვესტორს შეუძლია პირდაპირ უჩივლოს ინვესტიციის მიმღებ სახელმწიფოს არბიტრაჟში, ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაში განსაზღვრული ინვესტორის უფლებებისა და ინვესტიციების დაცვის სტანდარტებისა და გარანტიების სავარაუდო დარღვევის საკითხებზე.

31. Brief

ბრიფი

მხარის მიერ მომზადებული ფაქტობრივი გარემოებისა და სამართლებრივი შეფასების მიმოხილველი მოკლე დოკუმენტი, რომელიც წარედგინება საარბიტრაჟო ტრიბუნალს. მოკლე შემაჯამებელი დოკუმენტის წარდგენა შეიძლება საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

იხ. შედარებისთვის: სხდომის შემდგომი ბრიფი 137.

32. Burden of proof

მტკიცების ტვირთი

მხარისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა, რომ ამ უკანასკნელმა დაამტკიცოს მის მიერ წარმოდგენილი ფაქტები და გარემოებები, რომელთაც ის ეყრდნობა. მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელმაც წარმოადგინა სარჩელი, საჩივარი, პრეტენზია და ა.შ. შესაბამისად, უმეტესწილად მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, თუმცა საერთაშორისო არბიტრაჟში პირველადი მტკიცების ტვირთი შესაძლოა დაეკისროს საარბიტრაჟო მოპასუხესაც, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში საარბიტრაჟო მოპასუხე არის ის, ვინც წარმოადგენს პრეტენზიას, საჩივარს. ასეთი შემთხვევაა მაგალითად, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე აპროტესტებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციას; საარბიტრაჟო მოპასუხე საკუთარი პოზიციის დასაცავად ეყრდნობა გამონაკლისს ზოგადი წესიდან; საარბიტრაჟო მოპასუხე აყენებს **შეგებებულ სარჩელს** და ამ ნაწილში თავად მოქმედებს, როგორც მოსარჩელე. მტკიცების ტვირთი შემდგომ გადადის მეორე მხარეზე, რომელმაც უნდა გააბათილოს მოწინააღმდეგის პოზიცია და დაამტკიცოს ის ფაქტები, რასაც ამ მიზნით ეყრდნობა.

გარკვეულ შემთხვევებში **გამოსაყენებელი სამართალი**, შესაძლოა, პირდაპირ განსაზღვრავდეს, თუ რომელ მხარეს ეკისრება მტკიცების ტვირთი კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

იხ. შეგვებულის სარჩელი 51;

იხ. გამოსაყენებელი სამართალი 87.

33. Case management conference

პროცედურული კონფერენცია

საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ, როგორც წესი, საკუთარი ინიციატივით მოწვეული სხდომა მხარეებთან ერთად საარბიტრაჟო პროცედურული ზომებისა და პროცესის წარმართვის საკითხების განსახილველად. სხდომა, შესაძლოა, გაიმართოს ნებისმიერი მისაღები ფორმით, მათ შორის პირადი შეხვედრის ან ტელე-ვიდეო კონფერენციის სახით, ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით.

34. Chairman/Chairperson

თავმჯდომარე

იხ. თავმჯდომარე/თავმჯდომარე არბიტრი 139.

35. Challenge of arbitrator

არბიტრის აცილება

პროცედურა, რომლითაც მხარე ითხოვს, არბიტრის ჩამოცილებას საარბიტრაჟო განხილვიდან რაიმე საფუძვლით, ძირითადად, **ინტერესთა კონფლიქტიდან** გამომდინარე.

იხ. ინტერესთა კონფლიქტი 47.

36. Challenge of award

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეცილება

პროცედურა, რომლითაც მხარე სადავოდ ხდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, შეცილების ერთადერთ საპროცესო საშუალებას წარმოადგენს **საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება**.

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება 11, 166, 183.

37. Choice of law

სამართლის არჩევა

მხარეთა შეთანხმება **გამოსაყენებელი სამართლის** შესახებ.

იხ. გამოსაყენებელი სამართალი 87.

38. Claimant

მოსარჩელე

მხარე, რომელმაც წარმოადგინა **საარბიტრაჟო სარჩელი**.

იხ. საარბიტრაჟო სარჩელი 169.

39. Class arbitration

კოლექტიური არბიტრაჟი

საარბიტრაჟო პროცესი, სადაც დავის მხარედ გვევლინება მოსარჩელეთა ჯგუფი (კლასი), რომელიც არის კოლექტიური სასარჩელო წარმოების ალტერნატიული პროცედურა. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა არ იცნობს ან კრძალავს კოლექტიურ არბიტრაჟს. **კოლექტიური არბიტრაჟის** მაგალითებია: კოლექტიური შრომითი დავები, მომხმარებელთა ჯგუფის ან სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების მფლობელთა მიერ კოლექტიურად წამოწყებული დავები.

40. Closing Argument

დასკვნითი სიტყვა

ზეპირი მოსმენის დროს მხარეთა მიერ გაკეთებული საბოლოო შემაჯამებელი განცხადება.

იხ. ზეპირი მოსმენა 90.

41. Co-arbitrator

თანაარბიტრი

სამარბიტრიან საარბიტრაჟო ტრიბუნალში ორი არბიტრი, რომელთაგან არც ერთი არ არის საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე; გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, მათი არჩევა ხდება მხარეთა მიერ.

იხ. საარბიტრაჟო ტრიბუნალი 19;

იხ. თავმჯდომარე 34;

იხ. თავმჯდომარე/თავმჯდომარე არბიტრი 139.

42. Competence-competence principle

კომპეტენცია კომპეტენციისთვის პრინციპი

პრინციპი, რომლის თანახმად, საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება, თავად დაადგინოს საკუთარი **იურისდიქცია** და გადანყვიტოს საკუთარ იურისდიქციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი გვხვდება უმრავლეს საარბიტრაჟო კანონმდებლობასა და წესებში, მისი გამოყენების პრაქტიკა განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში.

იხ. იურისდიქცია 106.

43. Conciliation

კონსილიაცია

დავის ალტერნატიული გადანყვიტვის ერთ-ერთი მექანიზმი, სადაც მხარეთა ინიციატივით ინიშნება ნეიტრალური მესამე პირი, იგივე **კონსილიატორი**. კონსილიატორი, მხარეთა მორიგების მიზნით, წარმატავს მათ შორის მოლაპარაკებას და ხელს უწყობს მათ ურთიერთმისაღები შეთანხმების

მიღწევაში. კონსილიაციის მორიგებით დასრულების შემთხვევაში მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი შეთანხმება.

კონსილიაცია არის **მედიაციის** მსგავსი პროცესი, თუმცა ის უფრო სტრუქტურირებულია. მედიატორისგან განსხვავებით, კონსილიატორი უფრო აქტიურად არის ჩართული მხარეთა მორიგების პროცესში და ხშირ შემთხვევაში მხარეებს სთავაზობს დავის მორიგების პირობებს.

ტერმინები **კონსილიაცია** და **მედიაცია** ხშირად გამოიყენება სინონიმური მნიშვნელობით.

იხ. მედიაცია 117

44. Concurring opinion

თანმხმდრო აზრი

საარბიტრაჟო საქმეზე არბიტრის მიერ დაფიქსირებული მოსაზრება, რომლითაც იგი ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, თუმცა აქვს განსხვავებული დასაბუთება. არბიტრი ასეთ მოსაზრებას წარმოადგენს წერილობითი ფორმით და, როგორც წესი, თან ერთვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

იხ. შედარებისთვის: განსხვავებული აზრი 60.

45. Confirmation of arbitrator

არბიტრის დადასტურება

ზოგიერთი საარბიტრაჟო წესებით გათვალისწინებული პროცედურა, რომლითაც საარბიტრაჟო დაწესებულება მხარის/მხარეთა ან თანაარბიტრთა მიერ დასახელებული პირის არბიტრად დანიშვნამდე ადასტურებს მის კანდიდატურას.

იხ. საარბიტრაჟო დაწესებულება 18;

იხ. თანაარბიტრი 41;

იხ. არბიტრის დანიშვნა 16.

46. Conflict of Laws

კოლიზიური ნორმები

სამართლებრივი წესების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს **გამოსაყენებელ სამართალს** ან გამოსაყენებელი სამართლის ნორმებს.

კოლიზიური ნორმები მოცემულია ეროვნულ კანონმდებლობაში, საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებში, საარბიტრაჟო წესებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებში.

მაგალითისათვის, საქართველოში კოლიზიურ ნორმებს განსაზღვრავს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი. სპეციალური კოლიზიური ნორმები შეიძლება

მოცემული იყოს სხვა საკანონმდებლო აქტებშიც.
იხ. გამოსაყენებელი სამართალი 87;
იხ. საარბიტრაჟო წესები 24.

47. Conflicts of interest

ინტერესთა კონფლიქტი

გარემოება, რომელმაც შეიძლება წარმოშვას დასაბუთებული ეჭვი არბიტრის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის თაობაზე.

ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება „საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ“ საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო წესები.

იხ. „საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ“ საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო 91.

48. Consolidation

კონსოლიდაცია

ორი ან მეტი საარბიტრაჟო წარმოების გაერთიანება ერთ საარბიტრაჟო წარმოებად. კონსოლიდაციის წესები შეიძლება განსხვავდებოდეს საარბიტრაჟო წესების მიხედვით.

49. Correction or interpretation of arbitral award

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება ან განმარტება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება ან განმარტება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება ან განმარტება საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეიძლება დაევალოს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება 26.

50. Costs of arbitration

საარბიტრაჟო ხარჯები

ხარჯები, რომელიც მოიცავს არბიტრების ჰონორარს და მათ ხარჯებს, ადმინისტრაციულ ხარჯებს (მაგალითად, საქმეზე დანიშნული ექსპერტების, მონმეების, ზეპირი მოსმენისთვის დარბაზის დაქირავების, თარგმანის და ა.შ. ხარჯებს) და მხარეთა იურიდიული მომსახურების ხარჯებს. ინსტიტუციური არბიტრაჟის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ხარჯები დამატებით მოიცავს საარბიტრაჟო დაწესებულების მომსახურების ხარჯებს. საარბიტრაჟო ხარჯები არ მოიცავს ადმინისტრირების დროს საქმეში ჩართული მხარის

თანამშრომელთა ხელფასებს.
იხ. საარბიტრაჟო ხარჯები 50;
იხ. ინსტიტუციური არბიტრაჟი 98;
იხ. საარბიტრაჟო დანებსებულება 18.

51. Counterclaim

შეგებებული სარჩელი

საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მოსარჩელის წინააღმდეგ იმავე საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი საპასუხო სარჩელი.

52. Cross examination

ჯვარედინი დაკითხვა

მხარის მიერ მოწინააღმდეგე მხარის მოწმის დაკითხვა. ასეთი დაკითხვის მიზანია, მოწმე დაიკითხოს მისი ჩვენების სისწორის დასადგენად, ან კითხვის მწარმოებელი მხარის არგუმენტის გასამყარებლად და განსამარტავად, ან მოწმის დისკრედიტაციისა და, შესაბამისად, მეორე მხარის არგუმენტების გაბათილების მიზნით.

იხ. მოწინააღმდეგე მხარის მოწმე 6.

53. Crossclaim

ჯვარედინი სარჩელი

მხარის მიერ იმ პირის წინააღმდეგ წარმოდგენილი სარჩელი, რომელიც დავის იმავე მხარესაა. მაგალითად, ერთი და იმავე საარბიტრაჟო საქმის ფარგლებში საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ წარმოდგენილი სარჩელი სხვა საარბიტრაჟო მოპასუხის წინააღმდეგ.

54. De Novo review of award

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების De Novo გადასინჯვა [ლათ.: ხელახალი]

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე ეროვნული სასამართლო კონტროლის სტანდარტი, რომელიც სასამართლოს უფლებას აძლევს, შეამოწმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მათ შორის, გადასინჯოს გადაწყვეტილების არსებითი ნაწილი. იურისდიქციათა უმეტესობა არ მისდევს სასამართლო კონტროლის ამ პრაქტიკას.

55. Declaratory relief

დეკლარაციული გადაწყვეტილება

საარბიტრაჟო ტრიბუნალის ან სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლებებს, მათთვის რისიმე შესრულების ან ზიანის ანაზღაურების დაკისრების გარეშე.

დეკლარაციული ხასიათის გადაწყვეტილება შესაძლოა ასევე მოთხოვნილ იქნეს საარბიტრაჟო

ტრიბუნალის იურისდიქციის დადგენის მიზნით, თუკი ასეთ შესაძლებლობას უშვებს კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობა.

56. Defective arbitration clause

დეფექტური საარბიტრაჟო დათქმა

გაუგებარი, ბუნდოვანი ან წინააღმდეგობრივი საარბიტრაჟო დათქმა, რომელმაც შესაძლოა შეუძლებელი გახადოს საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება (დავის გადაწყვეტა არბიტრაჟის მეშვეობით), გამოიწვიოს პრობლემები საარბიტრაჟო პროცესში ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. ასეთი დათქმა არ არის იმთავითვე ბათილი. საარბიტრაჟო დანესებულებამ ან/და საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შეიძლება დაადგინოს იურისდიქციის არსებობა დეფექტის მიუხედავად, და მის აღმოსაფხვრელად გამოიყენოს სახელშეკრულებო განმარტების პრინციპები ან/და საარბიტრაჟო დანესებულების წესები. როგორც წესი, ტერმინები დეფექტური საარბიტრაჟო დათქმა და პათოლოგიური დათქმა გამოიყენება სინონიმური მნიშვნელობით.

იხ. პათოლოგიური საარბიტრაჟო დათქმა 133;

იხ. საარბიტრაჟო დათქმა 22.

57. Deliberation

თათბირი

პროცესი, რომლის დროსაც არბიტრები, საარბიტრაჟო წარმოების დასრულებულად გამოცხადების შემდეგ, მსჯელობენ და ცვლიან მოსაზრებებს სადავო საკითხებზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით.

58. Discovery

დოკუმენტების გამჟღავნება

პროცედურა, რომლის დროსაც მხარეები ერთმანეთს ან/და საარბიტრაჟო ტრიბუნალს წარუდგენენ სადავო საკითხებთან დაკავშირებულ იმ დოკუმენტურ მასალას, რომელიც მათ საკუთრებაში ან განკარგულებაშია. არბიტრაჟში დოკუმენტური მასალის ასეთი ფორმით წარმოდგენა ხდება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობით ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოთხოვნით. საარბიტრაჟო ტრიბუნალი, როგორც წესი, საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენს შესაბამისი დოკუმენტების მოპოვების ფარგლებს.

იხ. შედარებისთვის: დოკუმენტების წარმოდგენა 61.

59. Dispute adjudication board

დავების განმხილველი საბჭო

დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი ალტერნატიული მექანიზმი, რომლის დროსაც დავას განიხილავს ხელშეკრულებით წინასწარ გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად დანიშნული სპეციალური ცოდნის მქონე პირისაგან (პირებისაგან) შემდგარი სპეციალიზებული საბჭო. **დავების განმხილველ საბჭოებს** ძირითადად ითვალისწინებენ კომპლექსურ სამშენებლო ხელშეკრულებებში, სადაც მოითხოვება სპეციალური ცოდნა. დავის განმხილველი საბჭოები შედგება ერთი ან სამი წევრისგან და მათ მიერ მხარეებს შორის არსებულ დავაზე გამოტანილ გადაწყვეტილებას არა აქვს სავალდებულო ძალა. ასეთი მექანიზმის გამოყენებით დავის გადაჭრის წარუმატებლობის შემთხვევაში დავა გადაეცემა არბიტრაჟს ან სასამართლოს.

60. Dissenting opinion

განსხვავებული აზრი

არბიტრის განსხვავებული მოსაზრება მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მითითებულ ერთ ან რამდენიმე საკითხზე. აღნიშნულ მოსაზრებას არბიტრი წარმოადგენს წერილობით, როდესაც არ ეთანხმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. განსხვავებული აზრი, როგორც წესი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ერთვის ცალკე დოკუმენტის სახით.

იხ. შედარებისთვის: თანმხედრი აზრი 44.

61. Document production/disclosure

დოკუმენტების წარმოდგენა

პროცესი, რომლის დროსაც მეორე მხარის მოთხოვნით ან ტრიბუნალის ინიციატივით მხარე წარმოადგენს დამატებით დოკუმენტებს. საარბიტრაჟო პროცესის დასარეგულირებლად ხშირად გამოიყენება **საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის წესები საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულების მოპოვების შესახებ**.

იხ. საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის წესები საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულების მოპოვების შესახებ 93; იხ. დოკუმენტების გამჟღავნება 59.

62. Domestic arbitration

ადგილობრივი არბიტრაჟი

არბიტრაჟი, რომელიც არ შეიცავს საერთაშორისო ელემენტს. ადგილობრივი არბიტრაჟის ცნება აქტუალურია იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული

ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს ადგილობრივ და საერთაშორისო არბიტრაჟებს. არსებობს განსხვავებული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ეროვნული კანონმდებლობები განასხვავებენ ამ ორი ტიპის არბიტრაჟს. საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ არ იცნობს ამგვარ დაყოფას.

განსხვავებისათვის იხ. საერთაშორისო არბიტრაჟი 101.

63. Domestic Award

ადგილობრივი საარბიტრაჟო

გადაწყვეტილება

ადგილობრივი არბიტრაჟის მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიცავს არცერთ უცხოურ ელემენტს.

იხ. ადგილობრივი არბიტრაჟი 62;

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება 26.

64. Due process

სამართლიანი პროცესის პრინციპი

საარბიტრაჟო პროცესის წარმართვის იმპერატიულ-პროცედურული პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარეთა პოზიციების წარმოდგენის თანაბარ შესაძლებლობას და სხვა პროცესუალური გარანტიების დაცვას, მაგალითად: შეჭიბვებითობა, თანაბარი მოპყრობის პრინციპი და ა.შ.

65. Emergency arbitrator

საგანგებო არბიტრი

დროებით დანიშნული არბიტრი, რომელიც განიხილავს მოთხოვნებს ისეთი გადაუდებელი შუალედური და დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებების ან შემანარჩუნებელი ზომების, შესახებ, რომელთა გადაწყვეტა ვერ მოიცდის საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებამდე. იმ საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ინიშნება საგანგებო არბიტრი, იგი შეიძლება უფლებამოსილი იყოს, მისთვის გადაცემულ საკითხებზე გამოსცეს ბრძანება ან გადაწყვეტილება. საგანგებო არბიტრს, როგორც წესი, ეკრძალება იმავე დავაზე ფორმირებული საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრობა.

იხ. შუალედური ღონისძიებები 100;

იხ. უზრუნველყოფის ღონისძიება 146.

66. Enforcement

აღსრულება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მოქმედებაში

მოყვანის პროცესი. როგორც წესი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაშია საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, რის შედეგადაც იგი სავალდებულო ხდება მხარეთათვის. იმ შემთხვევაში, თუ წაგებული მხარე ნებაყოფლობით არ აღასრულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, მოგებული მხარე მიმართავს იძულებითი აღსრულების პროცედურებს. გადაწყვეტილების აღსრულება უნდა მოხდეს იმ ქვეყნის სასამართლოს ან სხვა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოსთვის მიმართვის წესით, სადაც მოგებულ მხარეს სურს აღსრულება.

67. Escalation clause

ესკალაციის პირობა

დავების მოგვარების შესახებ რამდენიმე საფეხურიანი სახელშეკრულებო დათქმა. ასეთი დათქმით გათვალისწინებული ყოველი მომდევნო საფეხური მოიცავს დავის გადაწყვეტის განსხვავებულ მექანიზმს და მეთოდს, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ წინა საფეხურით დავის მოგვარების მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. როგორც წესი, ასეთი დათქმებით დავის მოგვარების პირველ ეტაპს წარმოადგენს მხარეთაშორისი შიდა მოლაპარაკებების პროცედურები. შემდგომ ეტაპზე შეიძლება მოცემული იყოს დავის გადაწყვეტა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მედიაცია ან კონსილიაცია, ხოლო ბოლო ეტაპი, როგორც წესი, ეთმობა უფრო ფორმალურ პროცედურას, როგორიც არის არბიტრაჟი ან სასამართლო. ესკალაციის მუხლით გათვალისწინებული დავების მოგვარების მორიგ ეტაპზე გადასვლა დაუშვებელია, თუ მხარეთა მიერ სრულად არ იქნა გამოყენებული წინა ეტაპზე გათვალისწინებული პროცედურა.

ძირითადად, სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინები: **ესკალაციის პირობა და დათქმა დავის მრავალეტაპიან გადაწყვეტაზე.**

იხ. მედიაცია 117;

იხ. კონსილიაცია 43;

იხ. დათქმა დავის მრავალეტაპიან გადაწყვეტაზე 122.

68. Ex aequo et bono

Ex aequo et bono [ლათ.: სამართლიანად]

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში **გამოსაყენებელი**

სამართლის ნორმების სრული იგნორირებით. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, საქმის გადაწყვეტა ამ პრინციპის საფუძველზე უფრო ფართო დისკრეციას აძლევს არბიტრს ვიდრე მის მიერ საქმის გადაწყვეტა, როგორც **მშვიდობიანი შუამავალი**, თუმცა მსგავსად ამ უკანასკნელი შემთხვევისა, Ex aequo et bono პრინციპზე დაყრდნობით საქმის გადაწყვეტისას არბიტრი შეზღუდულია **საერთაშორისო საჯარო წესრიგის ნორმებით**.

იხ. გამოსაყენებელი სამართალი 87;

იხ. შედარებისთვის: მშვიდობიანი შუამავალი 7;

იხ. საერთაშორისო საჯარო წესრიგი 102.

69. Ex parte arbitration

დაუსწრებელი არბიტრაჟი

საარბიტრაჟო განხილვა, რომელმაც საარბიტრაჟო წარმოების ერთ-ერთი მხარე არ ცხადდება.

70. Ex parte communication

ცალმხრივი კომუნიკაცია

დავის მონაწილე რომელიმე მხარეს ან მის წარმომადგენელსა და არბიტრს (ან არბიტრობის კანდიდატს) შორის წერილობითი ან ზეპირი კომუნიკაცია დავის მეორე მხარის ცოდნის ან დასწრების გარეშე.

71. Ex proprio motu (ex mero motu)

Ex proprio motu [ლათ.: თავისი ინიციატივით]

სასამართლოს ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის შესაძლებლობა საკუთარი ინიციატივით, მხარეთა მოთხოვნის გარეშე, განახორციელოს რაიმე მოქმედება ან მიიღოს რაიმე სახის გადაწყვეტილება.

იხ. საარბიტრაჟო ტრიბუნალი 19.

72. Exclusion agreement

შეთანხმება გაუქმებაზე უარის შესახებ

მხარეთა შეთანხმება, რომლითაც ისინი უარს ამბობენ მიმართონ სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება 11, 166, 183.

73. Exequatur

ეგზეკუატურა

პროცედურა, რომლის დროსაც ეროვნული სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აღსასრულებლად მოაქცევს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

იხ. აღსრულება 66.

74. Expert witness

მოწმე ექსპერტი

მოწმე, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური ცოდნა და

გამოცდილება კონკრეტულ სფეროში. ასეთი მონღე შეიძლება დაინიშნოს მხარის ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ.

75. Expropriation

ქმსპროპრიაციი

სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების ჩამორთმევის აქტი. **ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების** უმრავლესობა კრძალავს ინვესტიციის მიმღები სახელმწიფოს მიერ დაცული უცხოური ინვესტიციების ექსპროპრიაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთ ქმედებას ადგილი აქვს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, არადისკრიმინაციულ საფუძველზე, პროცედურული გარანტიების დაცვითა და შესაბამისი კომპენსაციის გადახდით.

იხ. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება 30.

76. Extension of arbitration agreement

საარბიტრაჟო შეთანხმების გაგრძელება

საარბიტრაჟო პრაქტიკაში ჩამოყალიბებული ცნება, რომლის დროსაც **საარბიტრაჟო შეთანხმება**, გარკვეული პირობებიდან გამომდინარე, სავალდებულო ხდება იმ პირისთვის, რომელსაც მასზე ხელი არ მოუწერია. საარბიტრაჟო შეთანხმების გავრცელების შედეგად უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს **მრავალმხარიან არბიტრაჟს**.

იხ. საარბიტრაჟო შეთანხმება 21;

იხ. მრავალმხარიანი არბიტრაჟი 121.

77. Extra petita

Extra Petita [ლათ.: მოთხოვნის მიღმა]

საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ უფლებამოსილების გადამეტება, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი განიხილავს და გამოაქვს გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომელიც სცილდება მხარეთა მიერ მისთვის მინიჭებული იურისდიქციის ფარგლებს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება ასევე იყოს *extra petita*, როდესაც, მაგალითად, ტრიბუნალი დააკისრებს მხარეს ისეთი ზიანის ანაზღაურებას, რაც არ იყო გათვალისწინებული ან ამჟამად გამორიცხული იყო მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

იხ. შედარებისთვის: Ultra Petita 178, Infra Petita 97.

78. Fair and equitable treatment

სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის პრინციპი

ინვესტიციის მიმღებ ქვეყნებში პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების დაცვის ერთ-ერთი გარანტია. ეს პრინციპი მოცემულია თითქმის ყველა ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებაში. როგორც წესი, **ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების** ეს დებულება საინვესტიციო ტრიბუნალების მიერ ფართოდაა განმარტებული; იგი, ზოგადად, უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ ინვესტორებისთვის „სტაბილურ და პროგნოზირებად“ ბიზნესგარემოს. *იხ. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება 30.*

79. Fast-track arbitration

დაჩქარებული საარბიტრაჟო პროცესი

საარბიტრაჟო პროცესი, რომლის დროსაც საპროცესო ვადები არის მკაცრად დადგენილი და, როგორც წესი, გაცილებით შემცირებული, ვიდრე ჩვეულებრივი საარბიტრაჟო პროცესი. მგავსი ფორმით არბიტრაჟი შესაძლოა წარმართოს როგორც **ad hoc**, ისე **ინსტიტუციური არბიტრაჟის** კონტექსტში. ზოგიერთ საარბიტრაჟო **დანესებულებას** აქვს სპეციალური წესები ასეთი დაჩქარებული საარბიტრაჟო პროცესებისთვის.

იხ. ad hoc არბიტრაჟი 3;

იხ. ინსტიტუციური არბიტრაჟი 98;

იხ. საარბიტრაჟო დანესებულება 18.

80. Final award

საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ წყვეტს ყველა (ან დარჩენილ) სადავო საკითხს არბიტრაჟში.

81. Foreign award

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სადაც მისი აღსრულება მოითხოვება. **ნიუ-იორკის კონვენციის** შესაბამისად, **უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად** ასევე ითვლება ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, რომელიც არ მიიჩნევა ადგილობრივ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც გადაწყვეტილების აღსრულება მოითხოვება.

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება 26;

იხ. ნიუ-იორკის კონვენცია 123;

იხ. ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება 63.

82. Forum non convenience

Forum Non Convenience [ლათ.: შეუსაბამო ფორუმი] ანგლო-ამერიკული სამართლის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ეროვნულ სასამართლოს

შეუძლია უარი თქვას საქმის განსჯადობაზე, როდესაც მხარეებისთვის ხელმისაწვდომია უფრო შესაფერისი ფორუმი. ამ შემთხვევაში სასამართლოს აქვს სრული უფლებამოსილება და იურისდიქცია თავად გადაწყვიტოს საქმე, თუმცა საქმის ეფექტური გადაწყვეტისთვის ის საქმის განხილვას უთმობს უფრო მოსახერხებელ და შესაფერის ფორმულს. ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორც არის საქმის გადაწყვეტის ვადა, ხარჯები, მტკიცებულებების მოპოვება, მონმეთა წარმოდგენის შესაძლებლობა, საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებადობა და ა.შ. ამ პრინციპის საფუძველზე საქმის განხილვაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსარჩელეს სრული უფლება აქვს ხელახლა შეიტანოს ახალი სარჩელი უფრო მოსახერხებელ ფორუმში.

83. Forum shopping

ფორუმით პაჭრობა

პრაქტიკა, როდესაც მხარეები მიზანმიმართულად ცდილობენ მოძებნონ და შემდგომ დავა განსახილველად წაიღონ იმ სასამართლოს ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე, სადაც უფრო მაღალია მათთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის ალბათობა.

84. Freezing orders

ბრძანება ყადაღის დადებას შესახებ

უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც აბრკოლებს მხარეს მისი აქტივების განკარგვაში, რათა არ მოხდეს დავის განხილვის პროცესის შეფერხება, გადაწყვეტილების გამოტანის შეუძლებლობა ანდა მომავალში საფრთხე არ შეექმნას გადაწყვეტილების აღსრულებას. უზრუნველყოფის ეს ღონისძიება ისეთივე წარმატებით გამოიყენება არბიტრაჟში, როგორც ეროვნულ სასამართლო წარმოების დროს.

იხ. შედარებისთვის: უზრუნველყოფის ღონისძიება 146;

იხ. შუალედური ღონისძიებები 100.

85. Functus officio

Functus officio [ლათ.: მანდატის გასვლა]

ლათინური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ძალაუფლების არქონას მანდატის გასვლის გამო. იგი ასახავს სამართლებრივ პრინციპს, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი აღარ არის უფლებამოსილი იმოქმედოს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ან მხარეთა მორიგების შემდეგ.

86. Good conscience

მართლშეგნება

სამართლიანობის შინაგანი მორალური გრძნობა. გამოიყენება *ex aequo et bono*-ს დოქტრინის კონტექსტში, რომელიც გულისხმობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ან ეროვნული სასამართლოს მიერ დავების გადაწყვეტას სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით სწორედ საკუთარი მართლშეგნების საფუძველზე. იხ. *Ex aequo et bono* 68.

87. Governing law/ applicable law

მარეგულირებელი სამართალი/ გამოსაყენებელი სამართალი

კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობა ან დამოუკიდებელ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრულ დავაში ან სამართლებრივ ურთერთობებში. საერთაშორისო არბიტრაჟში დავის გადაწყვეტისას არცთუ იშვიათია ერთზე მეტი **მარეგულირებელი სამართლის** გავრცელების შემთხვევა, მაგალითად: დავის არსის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის, საარბიტრაჟო პროცედურის მარეგულირებელი სამართლის, საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის ან იმ ქვეყნ(ებ) ის სამართლის, სადაც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს.

88. Group of companies doctrine

კომპანიათა ჯგუფის დოქტრინა

არახელმომწერ პირზე საარბიტრაჟო შეთანხმების სავალდებულო ძალის გავრცელების ერთ-ერთი საფუძველი.

დოქტრინის მიხედვით საარბიტრაჟო დათქმა, დადებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიებიდან ერთ-ერთის მიერ, სავალდებულო იქნება ამავე ურთიერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფის დანარჩენი კომპანიებისთვის, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ხელშეკრულების შედგენაში, შესრულებასა და შეწყვეტაში.

კომპანიათა ჯგუფის დოქტრინა წარმოადგენს ფრანგულ მიდგომას, რომელიც ჩამოყალიბდა სასამართლო პრაქტიკიდან და იშვიათად გამოიყენება სხვა ქვეყნებში.

იხ. *არახელმომწერ პირი* 125

89. Guerrilla tactics/ dilatatory tactics

გაჭიანურების ტაქტიკა

რომელიმე მოდავე მხარის მიერ ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავს პროცედურული წესების ბოროტად გამოყენებას მეორე მხარის წინააღმდეგ უსამართლო უპირატესობის მოსაპოვებლად. **გაჭიანურების ტაქტიკა** საბოლოო ჯამში, ემსახურება საარბიტრაჟო პროცესის ხელის შეშლას და ეფექტურობის დაკარგვას.

90. Hearing

გეპირი მოსმენა

საარბიტრაჟო დავის რომელიმე ასპექტის არსებითი განხილვისათვის მოწვეული შეხვედრა, რა დროსაც ხდება მხარეთა პოზიციების წარმოდგენა და დასაბუთება საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე, მტკიცებულების გამოკვლევის, მოწმეებისა და ექსპერტების დაკითხვისა და სხვა მსგავსი საპროცესო მოქმედებების განხორციელების ჩათვლით. თუ საარბიტრაჟო პროცესი დაყოფილია რამდენიმე ეტაპად, შესაძლოა საქმეზე ჩატარდეს რამდენიმე **გეპირი მოსმენა**, მაგალითად, **გეპირი მოსმენა** იურისდიქციის საკითხებზე, საქმის არსებით ნაწილზე და ა.შ. რიგ შემთხვევებში, საარბიტრაჟო ტრიბუნალისა და მხარეთა შეთანხმებით, გარკვეული ტიპის საქმეები შესაძლოა გადაწყდეს გეპირი მოსმენის გარეშე.

91. IBA Guidelines on Conflicts of Interest in International Arbitration

საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო

საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო წესები, რომლებიც ადგენენ არბიტრების **ინტერესთა კონფლიქტის** კრიტერიუმებს და მათ მიერ ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო გამომწვევი გარემოებების გამჟღავნების წესებს. აღნიშული წესები წარმოადგენს ე.წ. „**რბილ სამართალს**“, რომელსაც არა აქვს სავალდებულო ძალა მანამდე, სანამ მხარეები არ შეთანხმდებიან მის გამოყენებაზე.

იხ. ინტერესთა კონფლიქტი 47;

იხ. „რბილი სამართალი“ 167.

92. IBA Guidelines on Party Representation in International Arbitration

საერთაშორისო არბიტრაჟში მხარის წარმომადგენლობის შესახებ საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო

საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის 2013 წელს მიღებული სახელმძღვანელო წესები, რომლებიც განსაზღვრავს წარმომადგენლის მოქმედების ფარგლებსა და მხარის საერთაშორისო არბიტრაჟში წარმომადგენლობის წესებს, რაც, თავის მხრივ, ექვემდებარება სხვადასხვა კოლიზიურ ნორმას. სახელმძღვანელოს არა აქვს სავალდებულო ძალა მანამდე, სანამ მხარეები არ შეთანხმდებიან მის გამოყენებაზე.

იხ. კოლიზიური ნორმები 46.

93. IBA Rules on Taking Evidence in International Commercial Arbitration

საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის წესები საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულების მოკოვების შესახებ

საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო წესები, რომლებიც ადგენენ საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულების წარმოდგენისა და შეფასების პროცედურას. ამ სახელმძღვანელო წესებს არა აქვს სავალდებულო ძალა მანამდე, სანამ მხარეები არ შეთანხმდებიან მის გამოყენებაზე.

94. ICSID Convention / Washington Convention

სახელმწიფოსა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ ვაშინგტონის კონვენცია
მსოფლიო ბანკის ეგიდით შემუშავებული კონვენცია, რომელიც არეგულირებს ხელშემკვრელ სახელმწიფოსა და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ინვესტორს შორის ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის წესსა და პირობებს. კონვენციით დაფუძნდა საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი, რომელიც ახორციელებს კონვენციით გათვალისწინებული დავების ადმინისტრირებას.

95. Implied or tacit choice of Law

ნაგულისხმევი სამართლის არჩევა

შეთხვევა, როდესაც ხელშეკრულებაში არ არის მხარეთა პირდაპირი და აშკარა დათქმა **სამართლის არჩევაზე**, თუმცა ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ მხარეებმა გამოხატეს ნება გარკვეული სამართლის არჩევის შესახებ, ანუ ივარაუდება, რომ მათ სურდათ ამ კონკრეტული **სამართლის არჩევა**. მაგალითად, შემთხვევა, როდესაც მხარეებს პირდაპირ არ აურჩევიათ

სამართალი, თუმცა ისინი შეთანხმდნენ, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა გადაწყდება რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში. ამ შემთხვევაში მხარეები, ქვეყნის განსაზღვრით, დავის არსის გადაწყვეტას ამავე ქვეყნის მატერიალური სამართალით ვარაუდობდნენ.

იხ. სამართლის არჩევა 37.

96. Independence and impartiality

დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

სტანდარტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს არბიტრი, რათა არ წარმოიშვას **ინტერესთა კონფლიქტი** დავის განხილვის არცერთ სტადიაზე. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მოითხოვს, რომ არბიტრებს არ ჰქონდეთ პირადი ინტერესი დავის გადაწყვეტასა და მხარეებთან მიმართებაში.

როგორც წესი, დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას შორის განსხვავების ერთი უნიფიცირებული განმარტება არ არსებობს. ზოგადი მიდგომით, **დამოუკიდებლობა გულისხმობს**, რომ არ არსებობს რაიმე სახის მიუღებელი გარე ურთიერთობები და კავშირები არბიტრსა და მხარეს ან მის წარმომადგენელს შორის (მათ შორის ფინანსური, პროფესიული, შრომითი, პირადი). ხოლო **მიუკერძოებლობა გულისხმობს**, რომ არბიტრი არის სუბიექტურად მიუკერძოებელი/ობიექტური და არ არის განწყობილი რომელიმე მხარის სასარგებლოდ. შესაბამისად, **დამოუკიდებლობა** განიხილება ობიექტური შეფასების საკითხად, რაც მოითხოვს არბიტრის მხარეს ან მის წარმომადგენელთან ფაქტობრივი კავშირებისა და ურთიერთობების გამორიცხვას. ხოლო **მიუკერძოებლობა** განიხილება სუბიექტური შეფასების საკითხად, რაც არბიტრისაგან მოითხოვს გარკვეულ შინაგან (ფსიქოლოგიურ) დამოკიდებულებას მხარისა და გადაცემული საქმისადმი.

იხ. ინტერესთა კონფლიქტი 47.

97. Infra petita

Infra petita

შემთხვევა, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი წყვეტს ან ასრულებს საარბიტრაჟო პროცესს **საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების** გამოტანით ისე, რომ არა აქვს განხილული და გადაწყვეტილი მხარეების მიერ წარდგენილი

როგორც მოსარჩელის, ისე საარბიტრაჟო მოპასუხის ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის ნაწილობრივ გადაუწყვეტელობა არ გახდება საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, ამ გადაწყვეტილებით განხილულ და გადაწყვეტილ მხარეთა სხვა მოთხოვნებთან მიმართებით. ზოგიერთი თანამედროვე საარბიტრაჟო წესი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი *Infra Petita* გადაწყვეტილებების მიმართ ითვალისწინებს დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

იხ. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება 80;

იხ. Extra Petita 77;

იხ. Ultra Petita 178.

98. Institutional arbitration

ინსტიტუციური არბიტრაჟი

არბიტრაჟი, საარბიტრაჟო პროცესი, რომელიც წარმართება საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირებითა და საარბიტრაჟო წესებით. იგი საპირისპიროა ე.წ. *Ad hoc* არბიტრაჟისა.

იხ. საარბიტრაჟო დაწესებულება 18;

იხ. საარბიტრაჟო წესები 24;

იხ. Ad hoc არბიტრაჟი 3.

99. Interim award

შუალედური გადაწყვეტილება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ერთ-ერთი სახე. როგორც წესი, შუალედური გადაწყვეტილება არ განსხვავდება ნაწილობრივი გადაწყვეტილებისაგან და მან შეიძლება საბოლოოდ გადაწყვიტოს დავის რომელიმე საკითხი; ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალი გააკეთებს შესაბამის მითითებას ამავე გადაწყვეტილებაში და/ან საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. შუალედური გადაწყვეტილება შეიძლება ეხებოდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა გამოსაყენებელი სამართლის, ხელშეკრულების ცალკეული მუხლის განმარტება და სხვ. ზოგიერთი საარბიტრაჟო კანონმდებლობის ან საარბიტრაჟო წესის შესაბამისად, ასეთი ფორმით შეიძლება მიიღებოდეს გადაწყვეტილება ზოგიერთ შუალედურ საკითხზეც, რომელთა წინასწარი გადაწყვეტა აუცილებელია საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მისაღებად. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, საარბიტრაჟო ტრიბუნალი იტოვებს უფლებას

მიუბრუნდეს ამ შუალედურ გადაწყვეტილებას საბოლოო ან ნაწილობრივ გადაწყვეტილებაში მისი შეცვლის ან ძალაში დატოვების მიზნით. შუალედური გადაწყვეტილების შინაარსის განსაზღვრება დამოკიდებულია კონკრეტულ საარბიტრაჟო კანონმდებლობასა და საარბიტრაჟო წესებზე.

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება 26;

იხ. ნაწილობრივი გადაწყვეტილება 131;

იხ. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება 80;

იხ. გამოსაყენებელი სამართალი 87.

100. Interim measures

შუალედური ღონისძიებები

საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ბრძანების, განჩინების ან თავად გადაწყვეტილების ფორმა, რომლითაც დგინდება დროებითი ხასიათის ღონისძიებები, მათ შორის: **უზრუნველყოფის ღონისძიება, ბრძანება ყადაღის დადების შესახებ** და სხვ.

იხ. უზრუნველყოფის ღონისძიება 146;

იხ. ბრძანება ყადაღის დადების შესახებ 84.

101. International arbitration

საერთაშორისო არბიტრაჟი

არბიტრაჟი, რომელიც შეიცავს ერთ ან რამდენიმე საერთაშორისო ელემენტს. არბიტრაჟის დაყოფა საერთაშორისო ან **ადგილობრივ არბიტრაჟად** დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობაზე ან საერთაშორისო ხელშეკრულებებზე.

UNCITRAL-ის მოდელური კანონის შესაბამისად, არბიტრაჟი იქნება საერთაშორისო, თუ: (1) საარბიტრაჟო შეთანხმების დადების დროისთვის მისი მხარეების ადგილსამყოფელი სხვადასხვა ქვეყანაშია; (2) **არბიტრაჟის ადგილი**, საარბიტრაჟო შეთანხმებით, მხარეთა ადგილსამყოფელი ქვეყნის ფარგლებს გარეთაა; (3) ნებისმიერი ადგილი, სადაც სახელშეკრულებო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობის არსებითი ნაწილი უნდა შესრულებულიყო, ან ადგილი, რომელთანაც დავის არსებითი ნაწილი ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული, მდებარეობს მხარეთა ადგილსამყოფელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ; (4) მხარეები ნათლად და გარკვევით შეთანხმდნენ, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების არსი

დაკავშირებულია ერთზე მეტ ქვეყანასთან. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს არბიტრაჟის დაყოფას ადგილობრივ და საერთაშორისო არბიტრაჟად. ამ დაყოფის საფუძველზე მოქმედებს განსხვავებული სამართლებრივი რეგულირება (მაგ.: საფრანგეთი, შვეიცარია). საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ არ იცნობს ამგვარ დაყოფას.

იხ. ადგილობრივი არბიტრაჟი 62;

იხ. არბიტრაჟის ადგილი 114, 136, 163;

იხ. UNCITRAL-ის მოდელური კანონი 182;

102. International public policy / international public order

საერთაშორისო საჯარო წესრიგი

საერთაშორისო სამართლის დონეზე აღიარებული სამართლის ნორმები და პრინციპები, რომლებიც შეიძლება შეეხებოდეს საარბიტრაჟო დავის არსს ან/და საარბიტრაჟო პროცესს, რომელთა დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ან ცნობასა და აღსრულებაზე უარი. როგორც წესი, საერთაშორისო საჯარო წესრიგის დარღვევა ავტომატურად გულისხმობს **ეროვნული/ადგილობრივი/ქვეყნის საჯარო წესრიგის** დარღვევას. საერთაშორისო სამართლის ასოციაციის განმარტებით, საერთაშორისო საჯარო წესრიგს აქვს ნამდვილად საერთაშორისო, ტრანსნაციონალური გამოყენება და შემხებლობა, რაც თავის თავში უნდა მოიცავდეს: ბუნებითი სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს, მსოფლიო მართლწესრიგის ფუნდამენტურ პრინციპებს, **იუს კოგენს** (jus cogens) საერთაშორისო სამართალში და ცივილიზებული სამყაროს მიერ აღიარებულ ძირითად მორალურ პრინციპებს.

იხ. საჯარო წესრიგი 147.

103. Intervention

საარბიტრაჟო პროცესში ჩარევა

პირის, რომელიც არ არის საარბიტრაჟო პროცესის მხარე, მოქმედება თავისი ინიციატივით მიიღოს მხარედ მონაწილეობა ამ პროცესში.

104. Investment treaty arbitration

საერთაშორისო საინვესტიციო

ხელშეკრულებიდან გამომდინარე არბიტრაჟი

საარბიტრაჟო პროცესი სახელმწიფოსა და სხვა ქვეყნის ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირ(ებ)-ს შორის, დაკავშირებული ამ უკანასკნელის მიერ ამ სახელმწიფოში განხორციელებულ

ინვესტიციებთან. როგორც წესი, საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არბიტრაჟში საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქცია დგინდება უცხოური ინვესტიციების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებით, ასევე ეროვნული კანონმდებლობით.

105. Joinder

მხარის ჩართვა საარბიტრაჟო პროცესში

დაინტერესებული მხარის ინიციატივით, ახალი მხარის საარბიტრაჟო პროცესში ჩართვა/დამატება საარბიტრაჟო პროცესის დაწყების შემდეგ.

106. Jurisdiction

იურისდიქცია/განსჯადობა

საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილება განიხილოს მისთვის გადაცემული დავა.

107. Jurisdiction clause

დათქმა იურისდიქციაზე/ განსჯადობაზე

ხელშეკრულებაში მოცემული დათქმა, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე გავრცელდეს კონკრეტული ქვეყნის სასამართლოს იურისდიქცია/განსჯადობა.
იხ. იურისდიქცია 106.

108. Jurisdictional objection

შედავება იურისდიქციაზე

მხარის შედავება ან პრეტენზია არბიტრაჟის მიერ დავის განხილვაზე იურისდიქციის/განსჯადობის არარსებობის შესახებ. როგორც წესი, ამგვარი შედავების ან პრეტენზიის საფუძველია დავა იმაზე, რომ: საარბიტრაჟო შეთანხმება არ არსებობს და/ან ბათილია; დავა არ არის არბიტრაჟუნარიანი ან ყველა მოთხოვნა არ შეიძლება იყოს განხილული ერთი საარბიტრაჟო პროცესის ფარგლებში.
იხ. იურისდიქცია 106;
იხ. არბიტრაჟუნარიანობა 17.

109. Language of arbitration

საარბიტრაჟო განხილვის ენა

ენა, რომელიც გამოიყენება არბიტრაჟში დავის განხილვისას. საარბიტრაჟო განხილვის ენა განისაზღვრება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ, თუკი მხარეები ვერ შეთანხმდნენ მასზე საარბიტრაჟო შეთანხმებით ან სხვანაირად.

110. Lex arbitri

არბიტრაჟის სამართალი

არბიტრაჟის პროცესუალური სამართალი,

რომელიც არეგულირებს მთლიანად არბიტრაჟს, არბიტრაჟის მოქმედების სფეროს, საარბიტრაჟო წარმოებას, საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნას, მიმართვის წესს, სასამართლოს დახმარებისა და მისი არბიტრაჟში ჩარევის წესსა და ფარგლებს. კონკრეტულად, **არბიტრაჟის სამართალი** არის **არბიტრაჟის ადგილის** ქვეყანაში მოქმედი საარბიტრაჟო კანონმდებლობა (კანონი, აქტი ა.შ.).
იხ. არბიტრაჟის ადგილი 114, 136, 163.

111. Lex fori

სასამართლოს ქვეყნის სამართალი

საერთაშორისო კერძო სამართლის ცნება, რომელიც გულისხმობს იმ ქვეყნის საპროცესო სამართალს, რომლის სასამართლოც განიხილავს დავას, საკითხს, განცხადებასა ან/და მოთხოვნას.

112. Lex mercatoria

სავაჭრო ჩვეულებითი სამართალი

საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებები და სამართლის ზოგადი პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბდა სავაჭრო ურთიერთობებში და საყოველთაოდ მიჩნეულია ჩვეულებად. ამგვარი ჩვეულებები ხშირად ყალიბდება საარბიტრაჟო და ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებებით, ასევე ეროვნული კანონმდებლობის კონვენსიის ან საჯარო ან კერძო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მოდელური კანონების ან წესების განზოგადების შედეგად. **სავაჭრო ჩვეულებითი სამართალი** შეიძლება მხარეებმა აირჩიონ **გამოსაყენებელ სამართლად**. ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება Ex aequo et bono პრინციპზე დაყრდნობით უნდა მიიღოს, მან შეიძლება იხელმძღვანელოს სავაჭრო ჩვეულებითი სამართლით.

იხ. Ex aequo et bono 68;

იხ. გამოსაყენებელი სამართალი 87.

113. Lis pendens

Lis Pendens

[ლათ.:მიმდინარე სასამართლო პროცესი]

სამართლის დოქტრინა, რომელიც გულისხმობს შემთხვევას, როდესაც **პარალელური პროცესები** მიმდინარეობს ერთსა და იმავე მხარეებს შორის, იმავე შინაარსის ქმედებაზე ორ ან მეტ ქვეყანაში. სხვადასხვა იურისდიქციის სასამართლოების მიერ **Lis Pendens**-ის დოქტრინა ხშირად გამოიყენება

საქმის წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლად, რადგან იმავე დავაზე უკვე არსებობს მიმდინარე სამართლებრივი პროცესი სხვა სასამართლოში ან ფორუმში.

იხ. პარალელური პროცესები 129;

იხ. საქმის წარმოების შეჩერება 171.

114. Locus arbitri

Locus arbitri [ლათ.: არბიტრაჟის ადგილი]

იგივეა, რაც არბიტრაჟის ადგილი.

იხ. არბიტრაჟის ადგილი 136, 163.

115. look-sniff arbitrations

შესაბამისობის შემოწმების არბიტრაჟი

არბიტრაჟის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ხშირად გამოიყენება იმპორტ-ექსპორტის ტრანზაქციებიდან წარმოშობილ დავებში, სადაც მთავარი სადავო საკითხი მიწოდებული საქონლის ხარისხის სახელშეკრულებო პირობებთან შესაბამისობაა. ამგვარი არბიტრაჟის გამოყენება ნიშნავს, რომ დავის გადაწყვეტა ხდება შესაბამისი საქონლის ექსპერტის მიერ, რომელიც შეამოწმებს საქონელს, ჩაატარებს ცდებს, ხოლო შემდეგ დააფიქსირებს შეხედულებას მათი ხარისხის შესახებ გადაწყვეტილების ფორმით. ამრიგად, ეს პროცედურა ეფუძნება შეთანხმებას შესაფერისი ექსპერტის შესახებ, მინიმალურ დოკუმენტაციას და მინიმალურ არგუმენტებს ხარჯების შემცირების მიზნით.

116. Maritime arbitration

საზღვაო არბიტრაჟი

არბიტრაჟის ფორმა, რომელიც გამოიყენება საზღვაო სფეროში დავების გადასაწყვეტად. საზღვაო არბიტრაჟს არა აქვს რაიმე განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშანი გარდა დავის შინაარსისა. ასეთ საარბიტრაჟო პროცესზე განიხილება საზღვაო ურთიერთობების ნიადაგზე წარმოშობილი დავები, მაგალითად: გემის საიტარო, სალიზინგო, ნასყიდობის, ხომალდის მშენებლობის, საზღვაო გადაზიდვებისა და საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულებებიდან მომდინარე დავები. საზღვაო ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს სპეციალიზებული საზღვაო დავების განმხილველი **საარბიტრაჟო დაწესებულებები** და **საარბიტრაჟო წესები**, ასეთია: ლონდონის საზღვაო არბიტრაჟი და საზღვაო

არბიტრების საზოგადოების საარბიტრაჟო წესები.
იხ. საარბიტრაჟო დანესტრულუბა 18;
იხ. საარბიტრაჟო წესები 24.

117. Mediation

მედიაცია

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთი მექანიზმი, სადაც მხარეთა ინიციატივით ინიშნება ნეიტრალური მესამე პირი, იგივე მედიატორი. **მედიატორი** მხარეთა მორიგების მიზნით, წარმართავს მათ შორის მოლაპარაკებას და ხელს უწყობს მათ ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში. მედიაციის მორიგებით დასრულების შემთხვევაში მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი შეთანხმება.

ტერმინები **კონსილიაცია** და მედიაცია ხშირად გამოიყენება სინონიმური მნიშვნელობით.

იხ. კონსილიაცია 43.

118. Mediation/ arbitration (Med/Arb)

მედიაცია/არბიტრაჟი (მედ/არბი)

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც არის **მედიაციისა** და **არბიტრაჟის** პროცედურების ერთგვარი ნაზავი. პრაქტიკაში არსებობს „მედ/არბის“ ორი ვერსია. ერთ შემთხვევაში, თუ მედიაცია წარუმატებელი აღმოჩნდა, მედიატორი იმავე დავაზე გახდება არბიტრი, ხოლო მეორე ვერსიით, მედიაციის წარუმატებლობის შემთხვევაში მედიატორი ამთავრებს თავისი ფუნქციების შესრულებას და დავა გადაეცემა **საარბიტრაჟო ტრიბუნალს**, რომლის წევრი არ შეიძლება იყოს ეს მედიატორი.

იხ. მედიაცია 117;

იხ. არბიტრაჟი 20;

იხ. საარბიტრაჟო ტრიბუნალი 19.

119. Model Law

მოდელური კანონი

იხ. UNCITRAL-ის მოდელური კანონი.

120. Multi-Contract arbitration

მრავალხელშეკრულებიანი არბიტრაჟი

საარბიტრაჟო პროცესი, რომლის დროსაც საარბიტრაჟო ტრიბუნალის **იურისდიქცია** შეიძლება გამომდინარეობდეს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ხელშეკრულებაში მოცემული **საარბიტრაჟო შეთანხმებიდან**.

იხ. იურისდიქცია 106;

იხ. საარბიტრაჟო შეთანხმება 21.

121. Multiparty arbitration

მრავალმხარიანი არბიტრაჟი

საარბიტრაჟო პროცესი, რომელშიც მონაწილეობს ორზე მეტი მხარე, კერძოდ, რამდენიმე საარბიტრაჟო მოსარჩელე ან/და რამდენიმე საარბიტრაჟო მოპასუხე.

მრავალმხარიან არბიტრაჟს ადგილი აქვს, როდესაც სახეზეა: (ა) ერთი ხელშეკრულება, რომელსაც ჰყავს ორზე მეტი მხარე, (ბ) ორი ან მეტი ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულება (ე.წ. ხელშეკრულებათა ჯგუფი).

122. Multi-tier dispute resolution clause

დათქმა დავის მრავალეტაპიან გადაწყვეტაზე

იხ. ესკალაციის პირობა 67.

123. New York Convention

ნიუ-იორკის კონვენცია

1958 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული კონვენცია „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“. მისი მიზანია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების **აღსრულების** გაადვილება. კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას ცნონ და აღასრულონ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წაგებული მხარე დაამტკიცებს, რომ არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის კონვენციით ზუსტად განსაზღვრული ლიმიტირებული საფუძვლები. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები გამორიცხავს ქვეყნის კომპეტენტური სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არსობრივ გადახედვას. კონვენციას ხშირად ნიუ-იორკის კონვენციის სახელწოდებით მოიხსენიებენ. 2015 წლის 28 აპრილს კომორის კუნძულები გახდა 156-ე ქვეყანა კონვენციის წევრ ქვეყანათა შორის. ნიუ-იორკის კონვენცია არის **საერთაშორისო არბიტრაჟის** ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

იხ. აღსრულება 66;

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადახედვა სასამართლოს მიერ 161;

იხ. საერთაშორისო არბიტრაჟი 101.

124. Nomination/ designation of arbitrator

არბიტრის კანდიდატურის დასახელება

მხარეთა ან/და თანაარბიტრთა მიერ პირის არბიტრად დანიშვნის მიზნით კანდიდატურის დასახელება.

იხ. თანაარბიტრი 41;

იხ. არბიტრად დანიშვნა 16.

125. Non-signatory/ non-signatory party

არახელმომწერი პირი

ფიზიკური ან იურიდიული პირი ან სახელმწიფო, რომელიც არ ყოფილა საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმალური ხელმომწერი მხარე, თუმცა შეიძლება შეუერთდეს საარბიტრაჟო პროცესს, როგორც დამატებითი მოსარჩელე ან იყოს ჩართული, როგორც დამატებითი საარბიტრაჟო მოპასუხე, გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით.

იხ. მხარის ჩართვა საარბიტრაჟო პროცესში 105.

126. One-stop arbitration

„ერთი ფანჯრის“ არბიტრაჟი

მიდგომა, რომელიც ჩამოყალიბდა ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში არბიტრაჟთან დაკავშირებით. ის გამოიხატება შემდეგ მსჯელობაში: თუ მხარეებს სურთ, რომ ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი გადანაცვითოს ერთმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა და ხელშეკრულების შინაარსსა და მის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები - სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, მხარეთა ასეთი ნება ნათლად და აშკარად უნდა იყოს დაფიქსირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ ისინი შეთანხმდნენ, ყველა ასეთი დავა გადანაცდეს მხოლოდ ერთი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ.

127. Opening statement

გახსნითი სიტყვა

მოსარჩლის გახსნითი სიტყვით იწყება ზეპირი მოსმენა, რომელსაც მოსდევს გახსნითი სიტყვა. გახსნით სიტყვაში მხარეები და მათი წარმომადგენლები საარბიტრაჟო ტრიბუნალს წარმოუდგენენ მათი საქმის მნიშვნელოვან ასპექტებსა და საქმეზე თანდართულ მთავარ დოკუმენტებს.

იხ. მოსარჩელე 38;

იხ. ზეპირი მოსმენა 90;

იხ. საარბიტრაჟო მოპასუხე 160.

128. Pacta sunt servanda *Pacta sunt servanda* [ლათ.: ხელშეკრულება უნდა შესრულდეს]

საერთაშორისო და სამოქალაქო სამართლის ფართოდ აღიარებული პრინციპი, რომ მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულება არის სავალდებულო და ის უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად. აღნიშნული პრინციპი სრულად გამოიყენება საარბიტრაჟო შეთანხმებებთან დაკავშირებით.

129. Parallel proceedings *პარალელური პროცესები*

მხარეებს შორის ერთსა და იმავე ან ერთმანეთთან არსებითად დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავების სხვადასხვა ფორუმში ერთდროულად განხილვა. შესაძლოა პარალელური პროცესები მიმდინარეობდეს არბიტრაჟსა და რომელიმე ეროვნულ სასამართლოსა თუ ორ სხვადასხვა არბიტრაჟში ერთდროულად.

პარალელური პროცესები შეიცავს საფრთხეს, რომ დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებზე შეიძლება გამოიტანონ შეუსაბამო გადანყვეტილებები ან შეიძლება ერთსა და იმავე დავის საგანზე ორი ურთიერთშეუსაბამო გადანყვეტილება წარმოიშვას.

nb. Lis Pendens 113.

130. Parol evidence rule *პაროლის მტკიცებულების წესი*

ანგლოსაქსური სამართლისათვის დამახასიათებელი დოქტრინა, რომლის თანახმადაც, სახელშეკრულებო დავებზე წერილობითი ფორმით შედგენილი ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს ეკრძალება წერილობით ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ზეპირი ახსნა-განმარტების გაკეთება ხელშეკრულების პირობების ან/და რაიმე პირობის დამატების შესახებ.

საარბიტრაჟო პროცესში საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, შესაძლებელია, არ იხელმძღვანელოს ამ წესით მტკიცებულებების შემოწმების ეტაპზე, და დაუშვას ამგვარი მტკიცებულებაც. წარმოდგენილი მტკიცებულება, როგორც წესი, შეეხება ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების ე.წ. „ვაჭრობის“ ისტორიას კომპანიის წარმომადგენლებსა და მეორე მხარეს შორის.

ასეთი მტკიცებულება ასევე ხელს უწყობს ხელშეკრულების შინაარსის დადგენას.

131. Partial award

ნაწილობრივი გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ წყვეტს საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის გადაცემულ რამდენიმე, და არა ყველა, სადავო საკითხს. ზოგიერთი საარბიტრაჟო კანონისა და წესების მიხედვით მიღებული ნაწილობრივი გადაწყვეტილება შინაარსის მიხედვით იგივეა, რაც **შუალედური გადაწყვეტილება**.

იხ. შუალედური გადაწყვეტილება 99;

იხ. შედარებისთვის: საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება 80.

132. Party autonomy

მხარეთა ნების ავტონომიურობის პრინციპი

იგივე ნების თავისუფალი გამოხატვის პრინციპი ვალდებულებით სამართალში. საერთაშორისო, სამოქალაქო და საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა უფლებას თავისუფლად აირჩიონ არბიტრაჟი, **არბიტრაჟის ადგილი, გამოსაყენებელი სამართალი** და საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტი.

იხ. არბიტრაჟი 20;

იხ. არბიტრაჟის ადგილი 114, 136, 163;

იხ. გამოსაყენებელი სამართალი 87.

133. Pathological arbitration clause

პათოლოგიური საარბიტრაჟო დათქმა

საარბიტრაჟო შეთანხმება/დათქმა, რომელიც შეიცავს ისეთ დეფექტებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საარბიტრაჟო შეთანხმების/დათქმის შეუსრულებლობა ან წარმოშვას ბუნდოვანება მის მოქმედებასთან დაკავშირებით.

იხ. დეფექტური საარბიტრაჟო დათქმა 56;

იხ. საარბიტრაჟო შეთანხმება 21;

იხ. საარბიტრაჟო დათქმა 22.

134. Permanent arbitrator

მუდმივმოქმედი არბიტრი

არბიტრი, რომელიც არჩეულია არბიტრად კოლექტიური ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადით ან ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით. ასეთი წესით არჩეული არბიტრის ფუნქციები და ვალდებულებები განსაზღვრულია კოლექტიური

ხელშეკრულებითვე.

იხ. არბიტრი 25.

135. Piercing the corporate veil

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა

დოქტრინა, რომელიც მიეკუთვნება კორპორაციულ სამართალს. არბიტრაჟის დოქტრინა გამოიყენება საარბიტრაჟო შეთანხმების არახელმომწერ პირზე სავალდებულო ძალის გავრცელების საფუძვლად, რა დროსაც ხდება იმ კომპანიის, იურიდიული პასუხისმგებლობის „შეჩერება“/შეზღუდვა, რომლის მიერაც დაიდო საარბიტრაჟო შეთანხმება, და იმ პირის პასუხისმგებლობის დადგენა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების ნამდვილ, ფაქტობრივ მხარეს, მიუხედავად იმისა, მოაწერა მან ხელი შეთანხმებას თუ არა.

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენების მთავარ პირობას წარმოადგენს კომპანიის პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება.

იხ. არახელმომწერი პირი 125.

136. Place of arbitration

არბიტრაჟის ადგილი

საარბიტრაჟო პროცესის იურიდიული ადგილი, რომელიც აკავშირებს საარბიტრაჟო პროცესსა და გადაწყვეტილებას კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობასთან. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ითვლება იმ ქვეყანაში გამოტანილად, სადაც არის არბიტრაჟის ადგილი. არბიტრაჟის ადგილის მიხედვით ირკვევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წარმომავლობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და მისი ცნობა-აღსრულებისთვის.

ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ტერმინს იყენებენ იმ ადგილის მისათითებლად, სადაც ფიზიკურად იმართება **ზეპირი მოსმენა** ან/და ხორციელდება სხვა საარბიტრაჟო საპროცესო მოქმედება, და რომელიც შეიძლება ყოველთვის არც იყოს არბიტრაჟის იურიდიული ადგილი.

არბიტრაჟის ადგილის მნიშვნელობით „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი იყენებს ტერმინს „საარბიტრაჟო განხილვის ადგილი.“

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება 11, 166, 183; იხ. ცნობა 151;

137. Post hearing briefs

სხდომის შემდგომი ბრიფი

ზეპირი სხდომის შემდეგ, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მოთხოვნილი, მხარის არგუმენტების საბოლოო მოკლე წერილობითი შეჯამება, განმარტება ან სხდომაზე წამოჭრილი კონკრეტული საკითხის (ახალი არგუმენტები, მტკიცებულება, ა.შ.) აღწერა-დაზუსტება. ზოგადად საარბიტრაჟო ტრიბუნალი ითხოვს ამგვარ **ბრიფს** იმ შემთხვევაში, თუ ზეპირ სხდომაზე მხარის მიერ წარდგენილი არგუმენტაცია ან ახსნა-განმარტება ბუნდოვანია, არასრულია ან/და არ იძლევა სარჩელის ან შესაგებლის (პრეტენზიის) ელემენტების დასაბუთებას. ასეთი ბრიფი, როგორც წესი, არის მხარის უკანასკნელი შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი პოზიცია ზემოთ აღწერილ საკითხებზე.

იხ. ბრიფი 31.

138. Power of attorney

მინდობილობა/რწმუნებულება/წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი

წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც მხარე ანიჭებს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლებას, იმოქმედოს მის ნაცლად (მინდობილობა), მათ შორის, საარბიტრაჟო პროცესზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

139. President/ presiding arbitrator

თავმჯდომარე/თავმჯდომარე არბიტრი

მესამე არბიტრი, სამარბიტრიან ტრიბუნალში, რომელიც წარმართავს არბიტრაჟის პროცესს, თავმჯდომარეობს ტრიბუნალს და ხშირად, უფლებამოსილია საარბიტრაჟო ტრიბუნალის სახელით მიიღოს ერთპიროვნული პროცედურული გადაწყვეტილებები (დადგენილებები). ასევე საბოლოო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თანაარბიტრების ამრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში - მიიღოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

140. Prima facie examination

Prima facie შეფასება [ლათ.: ერთი შეხედვით]

შეფასების სტანდარტი, რომლის საფუძველზეც დავების განმხილველი ორგანო ან დანესებულება აფასებს მის წინაშე გადასაწყვეტად წარმოდგენილ კონკრეტულ საკითხს. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, კონკრეტული საკითხის გამოკვლევა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს ზედაპირულად, საქმის სიღრმისეული შესწავლისა და შეფასების გარეშე. არბიტრაჟის კონტექსტში ამ სტანდარტით, როგორც წესი, ეროვნული სასამართლო ან **საარბიტრაჟო დანესებულება** აფასებს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის ფაქტს ან არბიტრაჟის **იურისდიქციის** სხვა საკითხებს იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ არის შექმნილი. შეფასების ამ სტანდარტის გამოყენება განპირობებულია იმით, რომ იურისდიქციის საკითხების სიღრმისეული შეფასებისა და საბოლოო გადაწყვეტის უფლება მხოლოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს.

იხ. საარბიტრაჟო დანესებულება 18;

იხ. იურისდიქცია 106;

იხ. საარბიტრაჟო ტრიბუნალი 19.

141. Privilege of confidentiality

კონფიდენციალურობის პრივილეგია

იურიდიული დოქტრინა, რომლის მიხედვითაც გარკვეული ტიპის ინფორმაცია და კომუნიკაცია დაცულია კონფიდენციალურობით და არ ექვემდებარება გამჟღავნების ვალდებულებას. კონფიდენციალურობის პრივილეგიის წესები განსხვავდება იურისდიქციების მიხედვით.

142. Procedural arbitratbility

პროცედურული საარბიტრაჟო განსაჯადობა

ეს საკითხი წამოიჭრება მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა განსახილველი დავა წარმოდგენილი მხარეთა ხელშეკრულებით/საარბიტრაჟო შეთანხმებით ან საარბიტრაჟო დათქმით არბიტრაჟისთვის დადგენილი წინასწარი პირობების დაცვით.

იხ. საარბიტრაჟო შეთანხმება 21;

იხ. საარბიტრაჟო დათქმა 22;

იხ. დასაშვებობა 4.

143. Procedural law

პროცედურული სამართალი

ნორმათა ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება საარბიტრაჟო წარმოების მიმართ. მხარეები

განსაზღვრავენ გამოსაყენებელ პროცედურულ სამართალს პირდაპირ ან ირიბად (მაგალითად, ადგილის არჩევით), ან მას განსაზღვრავს საარბიტრაჟო ტრიბუნალი. პროცედურული სამართალი იგივეა, რაც არბიტრაჟის სამართალი (lex arbitri) და განსხვავდება დავის არსებითი ნაწილის მიმართ გამოსაყენებელი მატერიალური სამართლისა და საარბიტრაჟო შეთანხმების მარეგულირებელი სამართლისაგან (თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში შეიძლება იყოს იგივე).

იხ. არბიტრაჟის სამართალი 110;

იხ. მატერიალური სამართალი 174.

144. Procedural order

პროცედურული დადგენილება

საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საარბიტრაჟო პროცესის წარმართვისას პროცედურულ საკითხებზე მიღებული დადგენილება. როგორც წესი, მისი გამოცემის უფლება აქვს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარეს ტრიბუნალის სახელით.

იხ. თავმჯდომარე/თავმჯდომარე არბიტრი 139.

145. Procedural timetable

პროცედურული განრიგი

საარბიტრაჟო პროცესის დასაწყის სტადიაზე საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად შექმნილი დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა განერილი საარბიტრაჟო პროცესის პროცედურული ეტაპების ვადები. როგორც წესი, პროცედურული განრიგი მიიღება პროცედურული დადგენილების ფორმით ან არის მისი ნაწილი.

იხ. პროცედურული დადგენილება 144.

146. Provisional and conservatory measures

უზრუნველყოფის ღონისძიება

დროებითი ხასიათის ღონისძიება, რომელიც მიიღება ერთ-ერთი მხარის მიმართ საარბიტრაჟო პროცესის მსვლელობისას და მიმართულია სამართლებრივი ან ფიზიკური მდგომარეობის შენარჩუნების, მტკიცებულებათა და ქონების დაცვის ან შენახვისკენ, რათა საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ გახდეს შეუძლებელი. უზრუნველყოფის ღონისძიებების მიღება არ ნიშნავს საქმის არსებითად გადაწყვეტას, ასევე არ წარმოადგენს რაიმე დაბრკოლებას საქმის სხვაგვარად

გადასაწყვეტად. ამგვარი ღონისძიებები შეიძლება იყოს მიღებული სხვადასხვა ფორმით, ტერმინები **შუალედური ღონისძიებები**, “provisional measures” და “conservatory measures” სინონიმებია. როგორც წესი, უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების (გამოცემის) უფლებამოსილება აქვს შესაბამის ეროვნულ სასამართლოს, **საარბიტრაჟო ტრიბუნალს და/ან საგანგებო არბიტრს**. მხარეებმა შეიძლება შემლუდონ ეს უფლებამოსილება საარბიტრაჟო შეთანხმებით. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სასამართლოსადმი მიმართვა უზრუნველყოფის ღონისძიების მისაღებად არ ნიშნავს მხარის უარს საარბიტრაჟო შეთანხმებაზე.

იხ. საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება 80;

იხ. შუალედური ღონისძიებები 100;

იხ. საარბიტრაჟო ტრიბუნალი 19;

იხ. საგანგებო არბიტრი 65;

იხ. ბრძანება ყადაღის დადების შესახებ 84.

147. Public policy

საჯარო წესრიგი

სამართლის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც დამკვიდრებულია ამა თუ იმ ქვეყანაში, და რომლის დარღვევა იწვევს როგორც ზოგადად ხელშეკრულების ბათილობას, ისე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებასა და მის ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმას. **საჯარო წესრიგი** შეიძლება მოიცავდეს როგორც მატერიალურ, ისე პროცესუალურ ნაწილს. არსებობს **საერთაშორისო საჯარო წესრიგი** და ქვეყნის შიდა საჯარო წესრიგი.

იხ. საერთაშორისო საჯარო წესრიგი 102.

148. Quantum

Quantum [ლათ.: რაოდენობა, მოცულობა]

ტერმინი, რომელიც გამოიყენება მოთხოვნის რაოდენობრივი განსაზღვრისთვის, მაგ.: მოთხოვნილი ზიანის ოდენობა, ჯარიმების ოდენობა და ა.შ.

149. Quantum of proof/ standard of roof

მტკიცების სტანდარტი

სტანდარტი, რომლითაც მხარემ, რომელზეც არის **მტკიცების ტვირთი**, უნდა ამტკიცოს მის მიერ დაყენებული მოთხოვნა. ზოგადად, არსებობს სამი სტანდარტი: (1) გონივრულ ეჭვს მიღმა დასაბუთება, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მაღალ სტანდარტს. (2) უფრო წონადი მტკიცებულებების არსებობა, რომელიც ყველაზე

ხშირად გამოიყენება საარბიტრაჟო დავებში. (3) ნათელი და დამარწმუნებელი მტკიცებულება – მესამე ტიპის კრიტერიუმი, რომელიც თავისი წონადობით შეიძლება მოთავსდეს პირველ ორს შორის, მოთხოვნათა სიმკაცრის მიხედვით.

იხ. მტკიცების ტვირთი 32.

150. Reciprocity

ნაცვალგება

სამართლის პრინციპი, რომლის საფუძველზეც, ერთი სახელმწიფო უფლებამოსილია ცნოს და აღასრულოს მხოლოდ ის უფლებები და ვალდებულებები (სამართლებრივი შედეგის მქონე ქმედებები), რომლებსაც აღიარებს მეორე სახელმწიფო. ამ საკითხთან დაკავშირებით, საგულისხმოა **ნიუ-იორკის კონვენციის** I(3) მუხლი (ნაცვალგების დათქმა), რომლის მიხედვითაც, „ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ნაცვალგების საფუძველზე განაცხადოს, რომ იგი ამ კონვენციას გამოიყენებს მხოლოდ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების მიმართ.“

იხ. ნიუ-იორკის კონვენცია 123.

151. Recognition

ცნობა

პროცესი, რომლითაც ეროვნული სასამართლო ცნობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ქვეყნის შიდა გადაწყვეტილებად. ზოგიერთ იურისდიქციაში, **ცნობა და აღსრულება** ორი განსხვავებული პროცესია, ზოგიერთში კი – ერთი პროცესის ნაწილი.

იხ. აღსრულება 66.

152. Redfern Schedule

რედფერნის ცხრილი

ცხრილის შემცველი დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება **დოკუმენტების წარმოდგენასთან** დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის დროს. მხარეები და საარბიტრაჟო ტრიბუნალი ერთობლივად ადგენენ ამ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილია მხარეთა მოთხოვნები და შესაგებელი, ასევე საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება წარმოსადგენ დოკუმენტებთან დაკავშირებით. ცხრილი თავდაპირველად შედგენილი იყო ალან რედფერნის მიერ, რამაც

განაპირობა მისი სახელწოდება.
იხ. დოკუმენტების წარმოდგენა 61.

153. Registration or deposit of awards

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რეგისტრაცია ან დეპონირება

პროცედურა, რომლის მიხედვითაც ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რეგისტრაცია ან ჩაბარება შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში (ხშირად სასამართლო ან ნოტარიუსი). ეს პროცედურა სავალდებულოა ზოგიერთი ქვეყნის შიდა კანონმდებლობით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისათვის სავალდებულო ძალის მისანიჭებლად.

154. Rejoinder

კონტრპასუხი

ერთ-ერთი ტერმინი, რომელიც გამოიყენება მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიციის გასამიჯნად. როგორც წესი, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წარმოადგენს საარბიტრაჟო შესაგებელს და შეგებებულ სარჩელს, მოსარჩელე წარმოადგენს პასუხს შესაგებელზე და შესაგებელს შეგებებულ სარჩელზე, ამ პასუხზე საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ გამოხატულ პოზიციას კი კონტრპასუხს უწოდებენ.

იხ. საარბიტრაჟო შესაგებელი 170;

იხ. შეგებებული სარჩელი 51;

იხ. პასუხი 157.

155. Remission

დაბრუნება

ზოგიერთ ქვეყანაში არსებული პროცედურა, რომლის მიხედვითაც ეროვნული სასამართლო უფლებამოსილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საარბიტრაჟო ტრიბუნალს უკან გაუგზავნოს გადასახედად, არსებული დარღვევებისა და (შეცდომების) გამოსასწორებლად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადობის მიზნით.

156. Replacement

შემცვლა

არბიტრაჟის კონტექსტში ეს არის არბიტრის შემცვლა სხვადასხვა გარემოებათა გამო (სიკვდილი, გადადგომა, მხარეთა შეთანხმება და სხვ.)

157. Reply

პასუხი

წერილობით წარმოდგენილი პოზიცია, რომელიც

არის საარბიტრაჟო მოპასუხის შეგვებულ სარჩელზე მოსარჩელის შეპასუხების პირველი საშუალება.

იხ. შეგვებულ სარჩელი 51.

158. Request for arbitration

საარბიტრაჟო განაცხადი

პირველადი განაცხადი, მოთხოვნა, საჩივარი, რომლითაც მოსარჩელე მხარე იწყებს საარბიტრაჟო პროცესს. მისი ფორმა და შინაარსი, როგორც წესი, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, შესაბამისი საარბიტრაჟო წესებითა და გამოსაყენებელი სამართლით.

იხ. საარბიტრაჟო წესები 24;

იხ. გამოსაყენებელი სამართალი 87.

159. Res judicata

პრეიუდიცატული ძალა [ლათ.: გადაწყვეტილი საქმე]

ერთხელ გადაწყვეტილი საქმის განმეორებითი განხილვის დაუშვებლობის პრინციპი. პრინციპის ძალით დაუშვებელია ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე დავის საგანზე ახალი საპროცესო მოქმედებების დაწყება, თუ უკვე არსებობს ძალაში შესული სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება 26.

160. Respondent

საარბიტრაჟო მოპასუხე

მხარე, რომლის წინააღმდეგაც მოსარჩელე აყენებს თავის მოთხოვნას საარბიტრაჟო პროცესში.

იხ. მოსარჩელე 38.

161. Review of awards / judicial review of awards

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადახედვა სასამართლოს მიერ

სამართლებრივი პროცედურა, რომლის დროსაც ეროვნული სასამართლო ამოწმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ცნობა-აღსრულების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. გავრცელებული მიდგომის მიხედვით, სასამართლოს გააჩნია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადახედვის შემღუდული სტანდარტი, რაც იმას გულისხმობს, რომ სასამართლოს არა აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების De Novo გადასინჯვის უფლება, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც.

იხ. ცნობა 151;

იხ. აღსრულება 66;

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების De Novo გადასინჯვა 54.

162. Scrutiny

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმალური გადასინჯვა

ინსტიტუციური არბიტრაჟისთვის დამახასიათებელი პროცედურული ეტაპი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოო მიღებამდე. ასეთ დროს საარბიტრაჟო დაწესებულების ამ უფლებამოსილების მქონე შიდა ორგანოს შეუძლია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მცირედი ფორმალური ცვლილებები შეიტანოს და, საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების თავისუფლების პრინციპის დაურღვევლად, საარბიტრაჟო ტრიბუნალს ყურადღება გაამახვილებინოს გადაწყვეტილების არსებით ნაწილში აღმოჩენილ ხარვეზებსა ან/და შეცდომებზე.

იხ. ინსტიტუციური არბიტრაჟი 98;

იხ. საარბიტრაჟო დაწესებულება 18.

163. Seat of arbitration

არბიტრაჟის ადგილი

იხ. Place of arbitration - არბიტრაჟის ადგილი 11, 163.

164. Security for costs

საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფა

საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც მიმართულია ერთ-ერთი მხარისადმი და ითვალისწინებს, რომ ამ მხარემ უნდა წარმოადგინოს მასზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით შესაძლო დაკისრებული საარბიტრაჟო ხარჯების გადახდისთვის საჭირო ფინანსური სახსრების უზრუნველყოფა. მსგავსი ღონისძიების გამოყენებას, როგორც წესი, მხარე ითხოვს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მეორე მხარის გაკოტრების ან გადახდისუუნარობის რისკი.

იხ. უზრუნველყოფის ღონისძიება 146;

იხ. საარბიტრაჟო ხარჯები 50.

165. Separability/ Severability doctrine

გამოყოფადობის/ავტონომიურობის დოქტრინა

სამართლის დოქტრინა, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ძირითადი (მთავარი) ხელშეკრულების ნაწილია, ითვლება დამოუკიდებელ შეთანხმებად და აგრძელებს მოქმედებას ძირითადი ხელშეკრულების

შენწყვეტის, მოშლის ან ბათილობის მიუხედავად. შესაბამისად, საარბიტრაჟო დათქმა ნამდვილი და აღსრულებადია იმ შემთხვევაშიც, თუ ძირითად ხელშეკრულებას სამართლებრივი ნაკლოვანება/დეფექტი აღმოაჩნდა. აღნიშნული დოქტრინის მიხედვით, საარბიტრაჟო დათქმა წარმოადგენს ხელშეკრულებას ხელშეკრულებაში.

იხ. საარბიტრაჟო დათქმა 22.

166. Set aside

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

საპროცესო წარმოება, რომლის გამოყენებითაც მხარე ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ იმ ქვეყნის ეროვნული სასამართლოს წინაშე, სადაც გამოტანილ იქნა ეს გადაწყვეტილება. გამონაკლისს წარმოადგენს საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის არბიტრაჟი, რომელსაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების განსხვავებული მექანიზმი აქვს.

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება 11, 183.

167. Soft law

„რბილი სამართალი“

ტერმინი, რომლითაც აღინიშნება სარეკომენდაციო ხასიათის ნორმები ან მათი ერთობლიობა. **რბილი სამართლის** ნორმები მხარეთა მიერ მათზე მითითებისას იძენენ სავალდებულო ძალას ამ მხარეთა სამართლებრივ ურთიერთობებში. არბიტრაჟთან მიმართებით საგულისხმოა **რბილი სამართლის** ისეთი მაგალითები, როგორიცაა - „საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის წესები საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულების მოპოვების შესახებ“, „საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო“.

იხ. „საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის წესები საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულების მოპოვების შესახებ“ 93;

იხ. „საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო“ 91.

168. Sole arbitrator

ერთი არბიტრი

ერთი პირი, რომელიც განიხილავს და გადაწყვეტს მხარეთა შორის დავას. მისი დანიშვნის წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ან ასეთის

არარსებობის შემთხვევაში, იმ საარბიტრაჟო წესებით, რომლის მიხედვითაც წარმართება არბიტრაჟის პროცესი. მიღებული პრაქტიკით, ორივე მხარე უნდა შეთანხმდეს **ერთი არბიტრის** კანდიდატურაზე. ამგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში კი **ერთ არბიტრს** ნიშნავს **საარბიტრაჟო დაწესებულება** ან შესაბამისად შეთანხმებული **დამნიშნავი ორგანო**.

იხ. საარბიტრაჟო დაწესებულება 18;

იხ. დამნიშნავი ორგანო 15.

169. Statement of claim

საარბიტრაჟო სარჩელი

მოსარჩელის მიერ წერილობით წარმოდგენილი პოზიცია დავის ყველა ასპექტზე შესაბამისი მტკიცებულებებით. იგი განსხვავდება **საარბიტრაჟო განაცხადისაგან**. საარბიტრაჟო სარჩელი, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს ფაქტებს, რომლებზედაც საარბიტრაჟო მოსარჩელე აფუძნებს თავის მოთხოვნებს, სამართლებრივ არგუმენტებს, მტკიცებულებებს, რომლებსაც ეყრდნობა მოსარჩელე, და საარბიტრაჟო სასარჩელო მოთხოვნებს.

იხ. საარბიტრაჟო განაცხადი 158.

170. Statement of defense

საარბიტრაჟო შესაგებელი

საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელშიც ის პასუხობს **საარბიტრაჟო სარჩელს** და წარმოადგენს კონტრარგუმენტებს საარბიტრაჟო სარჩელის გასაბათილებლად, დავის არსთან დაკავშირებით.

იხ. საარბიტრაჟო სარჩელი 169.

იხ. შედარებისთვის: პასუხი საარბიტრაჟო განაცხადზე 12.

171. Stay of proceedings

საქმის წარმოების შეჩერება

საარბიტრაჟო ან სასამართლო საქმის წარმოების შეჩერება, რაც გამოწვეულია **პარალელური პროცესებით: Lis pendens-ით**, **ბრძანებით არბიტრაჟის წინააღმდეგ** ან **ბრძანებით სასამართლო განხილვის წინააღმდეგ**, ან დაკავშირებულია კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომასთან.

იხ. პარალელური პროცესები 129;

იხ. Lis pendens 113;

იხ. ბრძანება არბიტრაჟის წინააღმდეგ 13;

იხ. ბრძანება სასამართლო განხილვის წინააღმდეგ 14.

172. Submission agreement ("Compromis")

დავის გადაცემის შეთანხმება

საარბიტრაჟო შეთანხმების სახე, რომელიც კლასიკური **საარბიტრაჟო დათქმისგან** განსხვავებით, არბიტრაჟს უქვემდებარებს მხარეთა შორის არა მომავალში შესაძლო წარმოშობილ დავას, არამედ წარსულში უკვე წარმოშობილ დავას. შესაბამისად, პრაქტიკაში, საარბიტრაჟო დათქმისგან განსხვავებით, ასეთი საარბიტრაჟო შეთანხმებები უფრო დეტალური და მოცულობითია. როგორც წესი, მასში დეტალურად არის მოცემული **გამოსაყენებელი სამართალი** (როგორც **პროცედურული**, ისე **მატერიალური**), **არბიტრაჟის ადგილი**, ასევე სხვადასხვა პროცედურული საკითხი, ისეთი როგორიცაა: არბიტრ(ებ) ის ვინაობა, დოკუმენტებისა და პოზიციების წარმოდგენის განრიგი და ა.შ. ასეთი საარბიტრაჟო შეთანხმება დაიდება დამოუკიდებელი დოკუმენტის ფორმით.

იხ. საარბიტრაჟო შეთანხმება 21;

იხ. საარბიტრაჟო დათქმა 22;

იხ. გამოსაყენებელი სამართალი 87;

იხ. პროცედურული სამართალი 143;

იხ. მატერიალური სამართალი 174;

იხ. არბიტრაჟის ადგილი 114, 136, 163.

173. Submissions

წარდგინებები

არბიტრაჟში მხარის მიერ წერილობით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები, პოზიცია და არგუმენტაცია, რომელშიც ასახულია მისი შეხედულება/მოსაზრება დავის კონკრეტულ ან ყველა ასპექტთან დაკავშირებით. საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობისას კონკრეტული ეტაპის მიხედვით წარმოდგენილ წარდგინებებს შესაძლოა განსხვავებული სახელწოდება ჰქონდეს, რაშიც იგულისხმება: **საარბიტრაჟო სარჩელი**, **საარბიტრაჟო შესაგებელი**, **შეგებებული სარჩელი**, **პასუხი**, **კონტრპასუხი**, საარბიტრაჟო პროცესის ფარგლებში მხარეთა მიერ გაწეული ხარჯთაღრიცხვა მათ მიერ გაწეულ ხარჯებზე, მათ შორის ადვოკატის ხარჯებზე.

იხ. საარბიტრაჟო სარჩელი 169;

იხ. საარბიტრაჟო შესაგებელი 170;

იხ. შეგებებული სარჩელი 51;

იხ. პასუხი 157;

იხ. კონტრპასუხი 154.

174. Substantive law

მატერიალური სამართალი

სამართლის ნორმები ან სამართლის პრინციპები, რომლებიც გამოიყენება დავის მატერიალური (არსებითი) ნაწილის გადასაწყვეტად. ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ქვეყნის მატერიალური სამართალი, მხარეთა შეთანხმებით ან მითითებით ინკორპორირებული კონკრეტული კერძო-ხასიათის წესები, ან საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები (UNIDROIT Principles), **სავაჭრო ჩვეულებითი სამართალი** (Lex mercatoria), კონვენციის ტექსტი. თუ მხარეები არ შეთანხმებულან გამოსაყენებელ სამართალზე, როგორც წესი, იგი განისაზღვრება საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ.

იხ. სავაჭრო ჩვეულებითი სამართალი 112.

175. Terms of reference

საარბიტრაჟო განხილვის საკითხთა შესახებ დადგენილება

დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები და არბიტრ(ებ)ი, და რომელიც შეიცავს სხვადასხვა პროცედურულ დეტალს, მათ შორის, დავის მოკლე აღწერას, მხარეთა სამართლებრივი ინტერესებისა და მოთხოვნების მონახაზს, აგრეთვე საარბიტრაჟო დავის ღირებულების ოდენობას და იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომელიც უნდა გადაწყვიტოს საარბიტრაჟო ტრიბუნალმა. აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერას შეიძლება უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანისთვის დადგენილი ვადის ათვლა. ამგვარი დოკუმენტის არსებობას ითვალისწინებს მხოლოდ მოგიერთი **საარბიტრაჟო წესები**.

იხ. საარბიტრაჟო წესები 24.

176. Third party funding

მესამე პირის მიერ საარბიტრაჟო პროცესის დაფინანსება

საარბიტრაჟო პროცესის დაფინანსების ალტერნატიული მეთოდი, რომლითაც საარბიტრაჟო პროცესთან კავშირის არმქონე კომერციული/კერძო დაფინანსებელი ნაწილობრივ ან სრულად უზრუნველყოფს დავის საპროცესო ხარჯებს იმ პირობით, რომ იგი აღნიშნულ ხარჯებს აინაზღაურებს საქმის მოგების შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხებიდან. მესამე პირის მიერ

პროცესის დაფინანსება შეიძლება მოხდეს როგორც მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაზე, ისე მოპასუხის შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნაზე, როგორც არბიტრაჟში, ისე სასამართლოში.

177. Truncated tribunal

წევრნაკლული ტრიბუნალი

საარბიტრაჟო ტრიბუნალი, რომელიც არ შედგება თავდაპირველად შეთანხმებული რაოდენობის არბიტრებისგან ერთ-ერთი არბიტრის გარდაცვალების, გადადგომის ან არბიტრის უფლებამოსილების შეჩერების გამო. საარბიტრაჟო პროცესის სტადიიდან გამომდინარე, შეიძლება გონივრული არ იყოს ასეთი არბიტრის შეცვლა (მაგ., როდესაც შეცვლის საჭიროება დგება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის პერიოდში), შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას გამოიტანს წევრნაკლული საარბიტრაჟო ტრიბუნალი.

იხ. შეცვლა 165.

178. Ultra petita

Ultra petita

[ლათ.: იმის მიღმა, რაც იყო მოთხოვნილი]

საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მისი უფლებამოსილების ისეთი გადამეტება, როდესაც გადაწყვეტილება გამოტანილია საკითხზე, რომელიც მხარეებს არ დაუყენებიათ საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე.

იხ. შედარებისთვის: Extra Petita 77, Infra Petita 97.

179. Umbrella clause

„ქოლგა“ დათქმა

დებულება, რომელიც გვხვდება ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში. ის ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას და შეასრულოს კონკრეტული დაპირებები უცხოელი ინვესტორების მიმართ. ამ მუხლის საფუძ-ველზე, სახელმწიფოს მიერ ინვესტიციასთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულების შესრულება ექცევა შესაბამისი ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების მოქმედების სამართლებრივ სივრცეში. ხშირად ინვესტორები ეყრდნობიან ამგვარ დათქმას, რათა სახელ-მწიფოსთან კონკრეტული ინვესტიციის გან-ხორციელებაზე დადებული კერძო ხასიათის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მათი მოთხოვნები ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების სამართლებრივ რეჟიმში მოაქციონ. როგორც წესი,

ეს არის სახელმწიფოს მიერ აღებული და ძალიან ზოგადად ფორმულირებული წერილობითი ვალდებულება.

იხ. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება 30.

180. UNCITRAL

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია (UNCITRAL)

გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი კომისია

181. UNCITRAL arbitration rules

UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები/

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის საარბიტრაჟო წესები

საარბიტრაჟო წესები, რომლებიც ძირითადად განკუთვნილია **Ad hoc არბიტრაჟის** მეშვეობით დავის განხილვისთვის. ისინი არეგულირებენ საარბიტრაჟო წარმოების პროცესულურ მიმდინარეობას.

იხ. საარბიტრაჟო წესები 24;

იხ. Ad hoc არბიტრაჟი 3.

182. UNCITRAL model Law/UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration

UNCITRAL-ის მოდელური კანონი/ გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ

UNCITRAL-ის მიერ მომზადებული მოდელური კანონი, რომლის მიზანია დაეხმაროს სახელმწიფოებს საარბიტრაჟო კანონმდებლობისა და პროცედურების რეფორმირებაში ისე, რომ მოხდეს მათი კანონმდებლობის თანამედროვე სტანდარტებსა და საერთაშორისო არბიტრაჟის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე ჰარმონიზაცია. ის მოიცავს საარბიტრაჟო პროცესის ყველა ეტაპს საარბიტრაჟო შეთანხმების, საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნისა და იურისდიქციის საკითხებს, ასევე სასამართლოს მხრიდან საარბიტრაჟო პროცესში ჩარევის (ცნობა-აღსრულების გზით) ასპექტებს. ეს დოკუმენტი მსოფლიოს მასშტაბით საერთაშორისო არბიტრაჟის მნიშვნელოვან საკითხებზე შეჭერებულ პოზიციას წარმოადგენს. ბევრმა ქვეყანამ სრულად ან ნაწილობრივ მიიღო ეს მოდელური კანონი ეროვნულ კანონმდებლობაში. დღეის

მდგომარეობით, მსოფლიოს 72 ქვეყნის, საერთო ჯამში 102 იურისდიქციის, საარბიტრაჟო კანონმდებლობა დაფუძნებულია UNCITRAL-ის მოდელურ კანონზე.
იხ. UNCITRAL.

183. Vacatur

Vacatur [ლათ.: ანუღირება]

სასამართლოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

იხ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება 11, 166.

184. Validity of arbitration agreement

საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა

ეროვნული კანონმდებლობით და/ან საერთაშორისო კონვენციებით საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისთვის დადგენილი მოთხოვნები. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობები ორ ჯგუფად იყოფა - (1) ფორმალური და (2) არსობრივი (შინაარსობრივი). ფორმალური წინაპირობები დაკავშირებულია საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმასთან, რაც უმეტეს შემთხვევაში გულისხმობს მის წერილობით ფორმას. რაც შეეხება შინაარსობრივ მოთხოვნებს, ეს მოთხოვნები უფრო ხშირად განსხვავებულად არის რეგულირებული სხვადასხვა ქვეყანაში. არსის ნამდვილობა გულისხმობს მხარეთა მიერ გამოხატულ და დაფიქსირებულ ნამდვილებას, რომ დავა საბოლოო გადაწყვეტის მიზნით გადაეცეს არბიტრაჟს.

იხ. საარბიტრაჟო შეთანხმება 21.

185. Withdrawal

საარბიტრაჟო სარჩელის გამოთხოვა

საარბიტრაჟო პროცესის დასრულება საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს, საარბიტრაჟო სარჩელის გამოხმობის გზით.

186. Witness conferencing/witness confrontation


მოწმეების კონფერენცია/მოწმეთა დაპირისპირება

პროცედურა, რომლის დროსაც ორი ან მეტი მონმის დაკითხვა ხდება ერთდროულად ერთმანეთთან დაპირისპირებით. ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებით სასარგებლო პროცედურა საარბიტრაჟო ტრიბუნალის ერთიანი შეხედულების ჩამოსაყალიბებლად, როდესაც მონმეები ერთსა და იმავე საკითხზე აძლევენ ურთიერთსაპირისპირო ჩვენებებს.

187. Witness statement

მოწმის ჩვენება

მოწმის წერილობითი განცხადება მისი ჩვენების
ფაქტებზე.



ადგილობრივი არბიტრაჟი - 62
ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება- 63
Adhoc არბიტრაჟი [ლათ.: „ამისთვის“] – 3
ანაციონალური არბიტრაჟი -9
ანაციონალური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება -10
არახელმომწერი პირი - 125
არბიტრაჟი - 20
არბიტრაჟის ადგილი - 136
არბიტრაჟის ადგილი - 163
არბიტრაჟის სამართალი - 110
არბიტრაჟუნარიანობა - 17
არბიტრი - 25
არბიტრის აცელება - 35
არბიტრის დადასტურება - 45
არბიტრის დანიშვნა - 16
არბიტრის კანდიდატურის დასახელება - 124
აღსრულება - 66

ბიფურკაცია - 29
ბრიფი - 31
ბრძანება არბიტრაჟის წინააღმდეგ - 13
ბრძანება სასამართლო განხილვის წინააღმდეგ - 14
ბრძანება ყადაღის დადების შესახებ - 84

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია(UNCITRAL) – 180
გამოყოფადობის/ავტონომიურობის დოქტრინა - 165
გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა - 135
განსხვავებული აზრი -60
გაჭიანურების ტაქტიკა - 89
გახსნითი სიტყვა - 127

დაბრუნება - 155
დავების განმხილველი საბჭო - 59
დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - 2
დავისგადაცემისშეთანხმება - 172
დავის ღირებულება - 8
დათქმა დავის მრავალეტაპიანგადაწყვეტაზე- 122
დათქმა იურისდიქციაზე/ განსჯადობაზე - 107
დამნიშნელი ორგანო - 15
დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა - 96
დასაშვებობა - 4
დასკვნითი სიტყვა - 40
დაუსწრებელი არბიტრაჟი - 69
დაუსწრებელი გადაწყვეტილება - 28
დამქარებელი საარბიტრაჟო პროცესი - 79

დეკლარაციული გადაწყვეტილება - 55
დეფექტური საარბიტრაჟო დათქმა - 56
დოკუმენტების გამჟღავნება - 58
დოკუმენტების წარმოდგენა - 61

ეგზეკუტურა - 73
ერთი არბიტრი - 168
„ერთი ფანჯრის“ არბიტრაჟი - 126
ესკალაციის პირობა - 67
ექსპროპრიაცია - 75
Exaequoetbono[ლათ.: სამართლიანად] -68
Ex proprio motu [ლათ.: თავისი ინიციატივით]- 71
Extra Petita[ლათ.: მოთხოვნის მიღმა]- 77

Vacatur[ლათ.: ანულირება] - 183

გეპირიმოსმენა- 90

თავმჯდომარე - 34
თავმჯდომარე/თავმჯდომარე არბიტრი - 139
თათბირი - 57
თანაარბიტრი - 41
თანმხვედრი აზრი - 44

ინსტიტუციური არბიტრაჟი - 98
ინტერესთა კონფლიქტი - 47
Infra petita - 97
იურისდიქცია/განსჯადობა - 106

Quantum[ლათ.: რაოდენობა, მოცულობა] - 148
კოლექტიური არბიტრაჟი - 39
კოლიზიური ნორმები - 46
კომპანიათა ჯგუფის დოქტრინა - 88
კომპეტენცია კომპეტენციისთვის პრინციპი - 42
კონსილიაცია - 43
კონსოლიდაცია - 48
კონტრაქტუალური - 154
კონფიდენციალურობის პრინციპი - 141

Lis Pendens[ლათ.: მიმდინარე სასამართლო პროცესი] - 113
Locus arbitri [ლათ.: არბიტრაჟის ადგილი] - 114

მარეგულირებელი სამართალი/გამოსაყენებელი სამართალი - 87
 მართლშეგნება - 86
 მატერიალური სამართალი - 174
 მედიაცია - 117
 მედიაცია/არბიტრაჟი (მედ/არბი) -118
 მესამე პირის მიერ საარბიტრაჟო პროცესის დაფინანსება - 176
 მინდობილობა/რწმუნებულება/ წარმომადგენლობის დამადასტურებელი
 დოკუმენტი - 138
 მოდელური კანონი - 119
 მოსარჩელე - 38
 მონინააღმდეგე მხარის მონმე -6
 მონმე ექსპერტი - 74
 მონმეების კონფერენცია/მონმეთა დაპირისპირება - 186
 მონმის ჩვენება - 187
 მრავალმხარიანი არბიტრაჟი - 121
 მრავალხელშეკრულებიანი არბიტრაჟი - 120
 მტკიცების სტანდარტი - 149
 მტკიცების ტვირთი - 32
 მუდმივმოქმედი არბიტრი - 134
 მშვიდობიანი შუამავალი -7
 მხარეთა ნებისავტონომიურობისპრინციპი - 132
 მხარის ჩართვა საარბიტრაჟო პროცესში -105

ნაგულისხმევი სამართლის არჩევა - 95
 ნაცვალგება - 150
 ნაწილობრივი გადაწყვეტილება - 131
 ნიუ-იორკის კონვენცია -123

ორმხრივისაინვესტიციოხელშეკრულება - 30

პათოლოგიური საარბიტრაჟო დათქმა - 133
 პარალელური პროცესები - 129
 პაროლის მტკიცებულების წესი - 130
 პასუხი - 157
 პასუხი საარბიტრაჟო განაცხადზე - 12
 Pactasuntservanda [ლათ.: ხელშეკრულება უნდა შესრულდეს] - 128
 პრეიურიდიციული ძალა[ლათ.:გადაწყვეტილი საქმე]- 159
 Prima facieშეფასება [ლათ.:ერთიშეხედვით] - 140
 პროცედურული განრიგი - 145
 პროცედურული დადგენილება - 144
 პროცედურული კონფერენცია - 33
 პროცედურული საარბიტრაჟო განსჯადობა - 142
 პროცედურული სამართალი - 143

„რბილისამართალი“ - 167

- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება - 26
საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მორიგებით - 27
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების De Novo გადასინჯვა [ლათ.: ხელახალი]-
54
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადახედვასასამართლოსმიერ - 161
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება - 11
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება - 166
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რეგისტრაციიდან აღკვეთა - 153
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმალური გადახედვა - 162
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება ან განმარტება - 49
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეცვლა - 36
საარბიტრაჟო განაცხადი - 158
საარბიტრაჟო განხილვის ენა - 109
საარბიტრაჟო განხილვის საკითხთა შესახებ დადგენილება - 175
საარბიტრაჟო დათქმა - 22
საარბიტრაჟო დანებსება - 18
საარბიტრაჟო მოპასუხე - 160
საარბიტრაჟო პროცესში ჩარევა - 103
საარბიტრაჟო სამართალი - 23
საარბიტრაჟო სარჩელი - 169
საარბიტრაჟო სარჩელის გამოთხოვა - 185
საარბიტრაჟო ტრიბუნალი - 19
საარბიტრაჟო შეთანხმება - 21
საარბიტრაჟო შეთანხმების გავრცელება - 76
საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა - 184
საარბიტრაჟო შესაგებელი - 170
საარბიტრაჟო წარმოების შეჩერება - 1
საარბიტრაჟო წესები - 24
საარბიტრაჟო ხარჯები - 50
საარბიტრაჟო ხარჯების უზრუნველყოფა - 164
საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება - 80
საგანგებო არბიტერი - 65
საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის წესების საერთაშორისო არბიტრაჟში
მტკიცებულების მოპოვების შესახებ - 93
საერთაშორისო არბიტრაჟი - 101
საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ
საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო - 91
საერთაშორისო არბიტრაჟში მხარის წარმომადგენლობის შესახებ
საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის სახელმძღვანელო - 92
საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებიდან გამომდინარე
არბიტრაჟი - 104
საერთაშორისო საჯარო წესრიგი - 102
სავაჭროჩვეულებითი სამართალი - 112

სამღვაო არბიტრაჟი - 116
სამართლიანი დათანაბარიმოპყრობის პრინციპი - 78
სამართლიანი პროცესის პრინციპი - 64
სამართლის არჩევა - 37
სასამართლოს ქვეყნის სამართალი - 111
საქმისწარმოებისშეჩერება - 171
სახელმწიფოსა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის საინვესტიციო
დავებისგადაწყვეტის შესახებვაშინგტონის კონვენცია - 94
საჯარო წესრიგი - 147
სხდომის შემდგომი ბრიფი - 137

უმრუნველყოფის ღონისძიება - 146
Ultra petita[ლათ.: იმის მიღმა, რაც იყო მოთხოვნილი] - 178
UNCITRAL-ის მოდელური კანონი/ გაეროს საერთაშორისო სავაჭრო
სამართლის კომისიისმოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული
არბიტრაჟის შესახებ -182
UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები/გაეროსსაერთაშორისოსავაჭროსამარ
თლისკომისიისსაარბიტრაჟო წესები - 181
უცხოურისაარბიტრაჟო გადაწყვეტილება - 81

ფორუმით ვაჭრობა - 83
Forum Non Convenience[ლათ.: შეუსაბამო ფორუმი] - 82
Functus officio [ლათ.: მანდატის გასვლა] - 85

„ქოლგა“დათქმა - 179

შეგებებული სარჩელი - 51
შედავება იურისდიქციაზე - 108
შეთანხმება გაუქმებაზე უარის შესახებ - 72
შესაბამისობის შემოწმების არბიტრაჟი - 115
შეცვლა - 156
შუალედური გადაწყვეტილება - 99
შუალედური ღონისძიებები - 100

ცალმხრივი კომუნიკაცია -70
ცნობა - 151

წარდგინებები - 173
წევრნაკლული ტრიბუნალი - 177

ხარჯების ავანსი - 5

ჯვარედინი დაკითხვა - 52
ჯვარედინი სარჩელი - 53

